მაიანჯამ (2007) შეისწავლა 1979-1991 წლებში კავშირი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ტექნოლოგიების გადაცემას შორის. კვლევაში გამოყენებულ იქნა პანელური მონაცემები დიდი ბრიტანეთის 205 ინდუსტრიის მიხედვით. ავტორმა გამოიყენა კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია. მოდელის მიხედვით ფაქტორული მწარმოებლურობა არის ფუნქცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ექპორტის და იმპორტის. ემპირიული მეთოდოლოგიიდან კვლევაში გამოყენებულია შეფასების უმცირეს კვადრატთა მეთოდი (OLS), ფიქსირებული ეფექტის (FE), შემთხვევითი ეფექტის (RE) და პირველი რიგის სხვაობის (FD) მეთოდები. ავტორი გამოყოფს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტს, როგორცაა ცოდნის გადაცემის დროითი ჩარჩო, რომელსაც მიმღები ქვეყნისათვის გადამწყვეტი როლი აქვს პირდაპირი

უცხოური ინვესტიციების გამართულ მუშაობაში. მთლიან მწარმოებლურობაზე ცოდნის გადაცემას აქვს ორი ტიპის ეფექტი, როგორც მყისიერი ასევე განგრძობადი. ემპირიული შედეგებიდან გამომდინარე, ავტორი ასკვნის, რომ გაერთიანებულ სამეფოში ადგილი აქვს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის მაღალ კორელაციას, მთლიანი მწარმოებლურობის დონის ზრდის გავლით.

ამდენად, თეორიული თუ ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვაზე დაყრდნობით ჩვენ არ შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის არსებობს მხოლოდ და მხოლოდ დადებითი ურთიერთკავშირი.

1.3 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ხელშემწყობი საკანონმდებლო ბაზა საქართველოში

შეიძლება ითქვას, რომ მსოფლიო მასშტაბით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების რაოდენობა დინამიკაში, შესაბამისობაშია არსებულ სამართლებრივ რეგულაციებთან.

საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებების (IIA) მიღების ევოლუციის პროცესი პირობითად დაყოფილია ოთხ ძირითად ფაზად [97]:

- პირველი, მოიცავს 1950-1964 წლებს და იწოდება ე.წ. ჩვილად ყოფნის პერიოდად. ამ პერიოდში შემუშავებულია 37 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება;
- მეორე ეტაპი, მოიცავს 1965-1989 წლებს და იწოდება დიქტომიის (განშტოების) ერადად. ამ ეტაპზე მიღებულია 367 ახალი შეთანხმება და ჯამში (+ წინა 37) მოქმედებს 404 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმება;

- მესამე ეტაპი გულისხმობს გავრცელების ერას და მოიცავს 1990-2007 წლებს. ეს პერიოდი ხასიათდება მასშტაბურობით და ამაზე მეტყველებს 2663 ახალი და წინა პერიოდებში მიღებულთან ერთად ჯამში მოქმედი 3067 შეთანხმება;
- მეოთხე პირობითი ეტაპი – რე-ორიენტირების ერა, მოიცავს 2008 წლიდან დღემდე პერიოდს და თავს უყრის 3271 საერთაშორისო საინვესტიციო შეთანხმებას.

UNCTADSTAT-ის მსოფლიო საინვესტიციო პოლიტიკის ანგარიშის მიხედვით, 2000-2014 წლებში, ეროვნულ დონეზე საინვესტიციო პოლიტიკის გაუმჯობესების კუთხით შემუშავებული ლიბერალური და ხელშემწყობი რეგულაციების რაოდენობა ყველაზე მაღალი იყო 2004 წელს, ხოლო პირიქით, საინვესტიციო გარემოს შემზღვეველი რეგულაციებით გამოირჩეოდა 2010 წელი [97].

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, საქართველოში დამოუკიდებლობის გამოცხადების პირველივე წელს დაიწყო საინვესტიციო საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლების შექმნის პროცესი. კერძოდ, 1991 წლის 25 ივლისს, უზენაესი საბჭოს მიერ (იმ დროინდელი საკანონმდებლო ორგანო), მიღებულ იქნა პირველი კანონი “უცხოური ინვესტიციების შესახებ”, რომელიც სამართლებრივ დონეზე არეგულირებდა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საკითხებს. იმავე წლის 10 აგვისტოს მიღებულ იქნა კანონი “საინვესტიციო საქმიანობის შესახებ”, რომლითაც სამართლებრივ საფუძვლებზე რეგულირდებოდა ეროვნული ინვესტიციები. 1995 წლის 30 ივლისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო უკვე მეორე კანონი “უცხოური ინვესტიციების შესახებ”, თუმცა, 1996 წლის 12 ნოემბერს მიღებულ იქნა ახალი კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”, რის საფუძველზეც ძალადაკარგულად გამოცხადდა წინა კანონები თავიანთი დამატებებით.

იმ დროისათვის, საინვესტიციო სფეროში ინტენსიური კანონშემოქმედებითი საქმიანობა, ზოგადად, დამახასიათებელია

მსოფლიოსათვის, განსაკუთრებით კი გარდამავალი ეკონომიკის მქონე პოსტსოციალისტური ქვეყნებისათვის (მაგალითად, პოლონეთმა სამჯერ მიიღო ინვესტიციების შესახებ კანონი), რაც კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს ინვესტიციების დიდ მნიშვნელობაზე ეკონომიკური სისტემების გარდაქმნაში.

1996 წლის 12 ნოემბრის კანონის მიღებამდე საქართველოში ორიენტაცია აღებული იყო უცხოელი ინვესტორებისათვის მკვეთრად გამოსატული უპირატესი ხელშეწყობისაკენ. მაგალითად, 1995 წლის 30 ივლისის კანონით, უცხოელ ინვესტორს ენიჭებოდა მთელი რიგი საგადამხდელო და სამეურნეო ეკონომიკური ხასიათის შეღავათები, რაც ადგილობრივ ინვესტორებს უბიძგებდა საზღვარგარეთ გაეტანათ საკუთარი კაპიტალი შემდგომი რეექსპორტის მიზნით.

საქართველოს კანონი “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ” საქართველოს ტერიტორიაზე თანაბარ პირობებში აყენებს, როგორც უცხოური, ასევე ადგილობრივი ინვესტიციების მონაწილეობით საინვესტიციო საქმიანობას და უზრუნველყოფს მათი დაცვის გარანტიებს. მისი მიზანია, დაადგინოს ინვესტიციების ხელშემწყობი სამართლებრივი რეჟიმი. აღნიშნული კანონით სამართლებრივად პირველად განიმარტა საქართველოში ინვესტიციის არსი, საინვესტიციო საქმიანობის ობიექტი და სუბიექტი. კერძოდ, ინვესტიციად მიიხნევა ყველა სახის ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება, რომელიც დაბანდდება და გამოიყენება შესაძლო მოგების მიღების მიზნით საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებულ სამეწარმეო საქმიანობაში. კანონი განმარტავს, რომ ნახსენები ფასეულობა ან უფლება შეიძლება იყოს შემდეგი სახის:

- ა) ფულადი სახსრები, წილი, აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები;
- ბ) უძრავი და მოძრავი ქონება – მიწა, შენობა-ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა მატერიალური ფასეულობა;
- გ) მიწით ან სხვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის უფლება (მათ შორის კონცესია), პატენტი, ლიცენზია, “ნოუ-ჰაუ”, გამოცდილება და სხვა ინტელექტუალური ფასეულობა;

დ) კანონით აღიარებული სხვა ქონებრივი ან ინტელექტუალური ფასეულობა ან უფლება.

აღნიშნული კანონის მიხედვით საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტად (ინვესტორად) ითვლება ფიზიკური ან იურიდიული პირი, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ინვესტირებას საქართველოში.

უცხოელ ინვესტორად ითვლება:

- ა) უცხოეთის სახელმწიფოს მოქალაქე;
- ბ) მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე;
- გ) საქართველოს მოქალაქე, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საზღვარგარეთ;
- დ) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს საზღვრებს გარეთ.

კანონის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე უცხოური ინვესტიცია შეიძლება განხორციელდეს საკუთრების ნებისმიერი ფორმის ობიექტში, გარდა კანონით აკრძალული შემთხვევებისა (მე-9 მუხლის პირველი პუნქტით აკრძალული) (ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ შესაბამისი სპეციალური ნებართვის ან ლიცენზიის საფუძველზე):

- ა) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის შექმნაში, წარმოებასა და გავრცელებაში;
- ბ) ბირთვული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური იარაღის გამოცდის პოლიგონის მშენებლობაში;
- გ) უცხო ქვეყნიდან ბირთვული და სახიფათო ნარჩენების აღდგენისა და განთავსების მიზნით შემოტანაში;
- დ) ადამიანის კლონირებასთან დაკავშირებულ სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარებაში;
- ე) ნარკოტიკული საშუალებების წარმოებაში;

ვ) დამამძიმებელი ყაყაჩოს, კოკას და კანაფის მცენარის კულტივირებაში;

ზ) საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულ საქმიანობაში;

თ) ტყვიაშემცველი (0.013 გრამზე მეტი ერთ ლიტრზე) მოტორული ბენზინის, ტეტრაეთილტყვიის, აგრეთვე ფალსიფიცირებული (არასტანდარტული) საყოფაცხოვრებო-კომუნალური მოხმარების თხევადი გაზის იმპორტს ან რეალიზაციაში (იმპორტში ტეტრაეთილტყვიის ინვესტირება დაიშვება მხოლოდ წარმოების ტექნოლოგიით ნებადართულ აუცილებელ შემთხვევებში);

ამავე კანონით, მხოლოდ საქართველოს სახელმწიფოსთვისაა ინვესტირება დასაშვები (კანონის მე-9 მუხლის მეორე ნაწილი):

ა) ფულადი ნიშნების, მონეტების, სახელმწიფო ჯილდოების ნიშნების, საფოსტო მარკების წარმოებაში;

ბ) ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებული ნაწარმის დადამღვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) სამედიცინო დანიშნულების ნარკოტიკული საშუალებების იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი ნარკოტიკული საშუალებების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

დ) სპეციალურ კონტროლს დაქვემდებარებული ფსიქოტროპული პრეპარატების წარმოებასთან, გადამუშავებასთან, იმპორტთან, ექსპორტთან, გადაზიდვასთან, საბითუმო რეალიზაციასთან და ახალი სახეობების შექმნასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

ე) ენერგეტიკის სადისპეჩერო საქმიანობაში.

საქართველოს კანონით “საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ”, საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას უცხოელი ინვესტორის უფლებები და გარანტიები არ შეიძლება იყოს იმ უფლებებზე და გარანტიებზე ნაკლები, რომლითაც სარგებლობს საქართველოს ფიზიკური და იურიდიული პირი, გარდა

კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ამასთან, ინვესტორი ვალდებულია საქმიანობას ეწეოდეს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის გარემოსა და ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად.

1994 წლის 21 დეკემბერს მიღებულ იქნა კანონი “საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ”, რომელიც განსაზღვრავს საქართველოს ტერიტორიაზე სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე უცხოელი ინვესტორებისათვის ბუნებრივი რესურსების დამუშავებისა და მასთან დაკავშირებული სხვა სახის სამეურნეო საქმიანობაზე კონცესიების გაცემის საერთო პრინციპებსა და წესს.

კანონით განსაზღვრული “კონცესიის” დეფინიცია შემდეგნაირია: კონცესია არის უცხოური კაპიტალის დაბანდების (ინვესტიციის) მიზნით სახელმწიფოს მიერ გაფორმებული გრძელვადიანი საჯარო ხელშეკრულება განახლებადი და განუახლებადი ბუნებრივი რესურსების ექსპლუატაციასა და მასთან დაკავშირებულ სხვა სამეურნეო საქმიანობაზე. კონცესიის საფუძველზე მოქმედი უცხოელი ინვესტორების უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობით.

მოცემული კანონით, საკონცესიო ურთიერთობის კონკრეტული პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე. საკონცესიო ხელშეკრულების დადება არ იწვევს ბუნებრივ რესურსებსა და სამეურნეო ობიექტებზე საკუთრების უფლების გადაცემას. საკონცესიო ხელშეკრულებას უცხოელი ინვესტორები დებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული უფლებამოსილ ორგანოსთან, ან მის მიერ უფლებამოსილ ორგანოსთან. კონცესიონერები შეიძლება იყვნენ უცხოეთის იურიდიული და ფიზიკური პირები, უცხოეთის სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები. კონცესიორის. კონცესიორის მიერ, საკონცესიო ხელშეკრულების განხორციელებით მიღებული პროდუქცია და შემოსავალი, რომელიც რჩება სავალდებულო გადასახადების შემდეგ, მისი საკუთრებაა. კონცესიორის საკუთრებაა მატერიალური და ყველა სხვა ფასეულობა, რომელიც არ შედიოდა გადაცემული ობიექტის შემადგენლობაში და

შექმნილია (შექმნილია) კონცესიონერის მიერ საკუთარი სახსრებითა და მესაკუთრის თანხმობით.

საქართველოში ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, 2002 წლის 19 ივნისს მიღებულ იქნა კანონი “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”. კანონი განსაზღვრავდა სახელმწიფო საწარმო-საინვესტიციო პოლიტიკის სფეროში არსებული საჯარო მიზნების განხორციელების სამართლებრივ, ორგანიზაციულ და ეკონომიკურ პრინციპებსა და მათი განხორციელების კონკრეტულ მექანიზმს.

2002 წლის 19 ივნისის კანონი ძალადაკარგულად გამოცხადდა 2015 წლის 4 მარტს მიღებული საქართველოს კანონით “საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ”, რომელიც სააგენტოს პირდაპირ ავალდებულებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მხარდაჭერის შესახებ. აღნიშნული კი, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მთავრობის მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტად დარჩენას.

საინვესტიციო საქმიანობის და მათ შორის, უცხოური ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის მიმართულებით, კიდევ ერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა 2006 წლის 30 ივნისს, როდესაც მიღებულ იქნა საქართველოს კანონი “ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”. ამ კანონის მიზანია ინვესტიციების განხორციელების ხელშეწყობა ინვესტიციების დაბანდებისა და სამეწარმეო საქმიანობისათვის აუცილებელი პროცედურების გაუმჯობესებით და დამატებითი სამართლებრივი რეჟიმის შექმნით.

კანონის მოქმედების სფერო ვრცელდება ნებისმიერ უცხოურ და ადგილობრივ ინვესტიციაზე, რომლებიც დაბანდებული და გამოყენებული იქნება საქართველოს ტერიტორიაზე. ამ კანონითვე დგინდება სპეციალური ნორმები და დამატებითი ხელშეწყობი ღონისძიებები განსაკუთრებული მნიშვნელობის ინვესტიციების წახალისებისათვის.

მოცემული კანონით, ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერას უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობა, ხოლო საქართველოს მთავრობის

წარმომადგენელი ინვესტიციების მხარდაჭერის სფეროში არის საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო.

აქვე უნდა ვახსენოთ იმის შესახებ, რომ უცხოელ ინვესტორს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს საქართველოს ლიბერალური სავაჭრო რეჟიმებით, მათ შორის, ისარგებლოს 900 მილიონიან ბაზარზე წვდომის შესაძლებლობით თავისუფლად, საბაჟო გადასახადების გარეშე. შეგვიძლია გამოვეყოთ ძირითადი ტიპის პრეფერენციული სავაჭრო რეჟიმები, ესენია [106]:

- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA with EU). საქართველო ამ შეთანხმების ბენეფიციარი გახდა 2014 წლის 27 ივნისიდან, და გულისხმობს საქართველოში წარმოებული პროდუქციის შესვლას ევროკავშირის ბაზარზე, საბაჟო გადასახადების გარეშე;
- საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრობა 2000 წლიდან;
- შეღავათიანი რეჟიმი შემდეგი ქვეყნის ბაზრებზე: აშშ, კანადა, იაპონია, ნორვეგია, შვეიცარია. აღნიშნული გულისხმობს, მინიმალურ ტარიფებს საქართველოდან ექსპორტირებულ 3400 დასახელების საქონელზე;
- ორმხრივი თავისუფალი სავაჭრო შეთანხმება (FTA) 12 ქვეყანასთან, მათ შორის მეზობელ და ღსთ-ს წევრ ქვეყნებთან.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში მიღწეული იქნა მნიშვნელოვანი წარმატებები ფისკალური რეფორმის მიმართულებით. გატარდა რადიკალური ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში, 2005 წლის იანვრიდან ამოქმედდა ახალი საგადასახადო კოდექსი, რომლის მიხედვით შემცირდა გადასახადების ოდენობა, გამარტივდა ადმინისტრაციული მექანიზმები, ჩამოყალიბდა მყარი სამართლებრივი ბაზა ლეგალური ბიზნესის მხარდაჭერისათვის. გადამხდელების მიმართ გამკაცრდა კონტროლის მექანიზმები. შემოღებულ იქნა საგადასახადო დავების წარმოების წესი. არსებული 21 გადასახადიდან რაოდენობა შემცირდა 6-დღე- ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების შემდგომ პერიოდში ეკონომიკური

ზრდის მაღალი ტემპის შესანარჩუნებლად ინვესტორებისა და ექსპორტის წახალისების მიზნით განხორციელებული ცვლილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2007 წლიდან ასევე მოხდა გადასახადების ლიბერალიზაცია და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

ასევე, უნდა აღინიშნოს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების “სტრატეგია 2020” და მთავრობის სამოქმედო გეგმები მათში დეკლარირებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პრიორიტეტულობის შესახებ და ამასთან, უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ასე მაგალითად: სტრატეგიის მიხედვით გათვალისწინებულია შემდეგი:

- ფინანსების ხელმისაწვდომობის ზრდისათვის, შიდა დანახოების სტიმულირებასთან ერთად, საჭიროა უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. უცხოური კაპიტალის შემოდინება, თავის მხრივ გააიფებს საკრედიტო რესურსს და გაზრდის ფინანსებზე ხელმისაწვდომობას. შესაბამისად, გაიზრდება ინვესტიციების მოცულობა ქვეყანაში;
- ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება ეკონომიკური დიპლომატიის ეფექტიანი განხორციელება. ამ მიზნით ხელი შეეწყობა საქართველოს საინვესტიციო და ბიზნესგარემოს პოპულარიზაციას საზღვარგარეთ; უცხოური ინვესტიციების, ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების შემოსვლას; ასევე, მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციასა და ქართული ექსპორტის ზრდას;
- ასევე პრიორიტეტულია, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის ფარგლებში, ევროკავშირის ენერგეტიკულ კანონმდებლობასთან დაახლოება. შესაბამისი რეფორმებისა და რეგულაციების ცვლილებებით მოხდება ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის ხელშეწყობა, ბაზრის ლიბერალიზაცია და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონულ ვაჭრობის განვითარებას, სატრანზიტო და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას;

- ენერჯის იმპორტის შემცირების და ენერგოდამოუკიდებლობის გაზრდის მიზნით, მოხდება სახელმწიფოს მხრიდან ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების საშუალებით ენერგეტიკული პროექტების ხელშეწყობა, აქცენტით ადგილობრივი ენერგორესურსების ათვისებაზე.

ამდენად, მიუხედავად უკვე არსებული არაერთი სამართლებრივი დოკუმენტისა, ვფიქრობთ, ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების დამუშავებისას, საქართველოს კანონმდებლობა უფრო მეტად უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია საქართველოს ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) და მის ფარგლებში განსახორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და ის ორიენტირები რომელსაც უნდა მიაღწიოს ქვეყანამ, რათა შეუერთდეს მაღალგანვითარებული ქვეყნების რიგს.

დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების სწორად შეფასებისათვის, და შემდგომ ანალიზისათვის, ვფიქრობთ, აუცილებელია პირველ რიგში სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა და მისი დაახლოება დასავლურ სტანდარტებთან. უნდა მოხდეს ინვესტიციების მკაცრი აღრიცხვა, რაც პირველ რიგში, ნაკადების მოძრაობის რეგისტრაციიდან იწყება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი მიზანმიმართული გამოყენების შეფასებისათვის. ინვესტორს უნდა გააჩნდეს ერთი მხრივ კეთილი ნება, რის საფუძველსაც ინსტიტუციისადმი ნდობის ფაქტორი ქმნის და მეორეს მხრივ – ვალდებულება, დაემორჩილოს ქვეყანაში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანალიზის მიღებულ მეთოდოლოგიას, რათა შეიქმნას ერთიანი და საიმედო აღრიცხვის სისტემა. ასევე, სასურველია, ინვესტორი ახდენდეს ინვესტიციების შედეგად მიღებული ეფექტის

რაოდენობრივი და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებას და სტატისტიკის შესაბამის ორგანოებში დეკლარირებას.

თავი 2. საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მათი გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე

2.1 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების მეთოდოლოგია და პრაქტიკა საქართველოში

საგადასახდელო ბალანსი და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშების მეთოდოლოგია

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI) ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ფინანსური ინსტრუმენტის – საგადასახდელო ბალანსის მნიშვნელოვანი კომპონენტია.

საგადასახდელო ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკურ ანგარიშს, რომელიც ასახავს დროის გარკვეულ პერიოდში (ჩვენს შემთხვევაში ყოველკვარტალურად) ქვეყანასა და დანარჩენ მსოფლიოს შორის განხორციელებულ ეკონომიკურ ოპერაციებს. მასში აისახება ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის [104].

საგადასახდელო ბალანსი შედგება ორი ძირითადი ანგარიშისაგან. ესენია: მიმდინარე ანგარიში და კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში.

მიმდინარე ანგარიშში ასახულია მიმდინარე ოპერაციები რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის, კერძოდ, საქონლითა და მომსახურებით ვაჭრობა, შრომითი და საინვესტიციო შემოსავლები, მიღებული და გაცემული ტრანსფერები. მიმდინარე ანგარიში მოიცავს საქონელსა და მომსახურებას, პირველად შემოსავალსა და მეორედ შემოსავალს.

საქონლის ანგარიში მოიცავს საქონლის ექსპორტ-იმპორტს და მისი ინფორმაციული ბაზა, დეკლარირებული მონაცემების გარდა, ეყრდნობა შეფასებებს, რომლებიც გაკეთებულია ძირითადი პარტნიორი ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მონაცემებზე დაყრდნობით, და ასევე სპეციალური გამოკვლევების საფუძველზე.

მომსახურების ანგარიში მოიცავს მომსახურებას, რომელიც გაუწიეს საქართველოს რეზიდენტებმა სხვა ქვეყნის რეზიდენტებს და პირიქით. აქ

გამოიყოფა: მანუფაქტურული მომსახურება, საქონლის რემონტი და სხვა ტექნიკური მომსახურება, სატრანსპორტო, საფოსტო და კურიერული მომსახურება, ტურიზმი, მშენებლობა, სადაზღვევო და საპენსიო მომსახურება, ფინანსური მომსახურება, ინტელექტუალური საკუთრებით სარგებლობა, სატელეკომუნიკაციო, კომპიუტერული და საინფორმაციო მომსახურება, სხვა საქმიანი მომსახურება, პირადი, კულტურული და რეკრეაციული მომსახურება, სამთავრობო საქონელი და მომსახურება სხვაგან დაუსახელებელი.

პირველადი შემოსავლის ანგარიში გვიჩვენებს პირველადი შემოსავლის ნაკადებს რესიდენტ და არარეზიდენტ ინსტიტუციურ ერთეულებს შორის. ის მოიცავს: შრომის ანაზღაურებასა და საინვესტიციო შემოსავალს.

შრომის ანაზღაურება მოიცავს საზღვარგარეთ მომუშავე, ასევე ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებულ რესიდენტ მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; ასევე ქვეყანაში მომუშავე და საზღვარგარეთის ქვეყნებში ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებში დასაქმებული არარეზიდენტების შრომის ანაზღაურებას.

საინვესტიციო შემოსავლები მოიცავს შემოსავლებს პირდაპირი, პორტფელის და სხვა ინვესტიციებიდან. კრედიტში აისახება საქართველოს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო დებეტში პირიქით – არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავალი.

მეორადი შემოსავლის ანგარიში გვიჩვენებს მიმდინარე ტრანსფერებს ქვეყნის რეზიდენტებსა და არარეზიდენტებს შორის. მიმდინარე ტრანსფერი წარმოადგენს ცალმხრივი ხასითის ოპერაციას და არის მოკორესპოდენტო ჩანაწერი, საქონლის, მომსახურების, ფინანსური აქტივის ან სხვა არაწარმოებული აქტივების ერთი ინსტიტუციური ერთეულის სხვა ინსტიტუციონალური ერთეულზე გადაცემისა, რომელსაც არ ახლავს შესაბამისი ეკონომიკური ღირებულების გადაცემა. საერთაშორისო ანგარიშები კლასიფიცირდება შემდეგი სახის მიმდინარე ტრანსფერებად: მიმდინარე გადასახადები შემოსავალზე, ქონებაზე და ა.შ.; სოციალური მოსაკრებლები; სოციალური სარგებელი; მიმდინარე საერთაშორისო

თანამშრომლობა; წმინდა სადაზღვევო პრემია სიცოცხლის დაზღვევის გარდა; სადაზღვევო მოთხოვნები სიცოცხლის დაზღვევის გარდა; პირადი გადარიცხვები; და სხვა მიმდინარე ტრანსფერები.

კაპიტალისა და ფინანსური ანგარიში მოიცავს ორ ანგარიშს. ესენია: კაპიტალის ანგარიში და ფინანსური ანგარიში.

კაპიტალის ანგარიში იყოფა ორ ნაწილად: კაპიტალური ტრანსფერები და არაწარმოებული არაფინანსური აქტივების შექმნა-გადაცემა. კაპიტალურ ტრანსფერს მიეკუთვნება ასევე ვალის პატიება. კაპიტალური ტრანსფერი იყოფა სამთავრობო სექტორისა და სხვა სექტორების ტრანსფერებად.

ფინანსური ანგარიში ასახავს რეზიდენტების მიერ საზღვარგარეთ განხორციელებულ ინვესტიციებს და არარეზიდენტების მიერ საქართველოში განხორციელებულ ინვესტიციებს. ისინი იყოფა შემდეგნაირად: პირდაპირი ინვესტიციები, პორტფელის ინვესტიციები, ფინანსური წარმოებულები, სხვა ინვესტიციები და სარეზერვო აქტივები.

პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს: სააქციო კაპიტალს და საინვესტიციო ფონდის აქციებს, რეინვესტირებულ შემოსავლებს და სავალდებულო ინსტრუმენტებს. აქვე აისახება საქართველოს პირდაპირი ინვესტიციები საზღვარგარეთ, ინფორმაციის მოპოვება ხდება საწარმოთა პირდაპირი გამოკვლევიდან, რომელსაც საქსტატი აწარმოებს, კომერციული ბანკების ანგარიშებიდან, ხოლო დამატებითი ინფორმაციის მოზიდვა ხდება ინტერნეტიდან და სხვადასხვა საინფორმაციო საშუალებებიდან.

პორტფელის ინვესტიციები მოიცავს: ისეთ დაბანდებებს საწარმოს საწესდებო კაპიტალში, რომელიც იძლევა ხმების 10%-ზე ნაკლებს. პორტფელის ინვესტორებს მიეკუთვნებიან ასევე ის იურიდიული და ფიზიკური პირები, რომლებიც ფლობენ არარეზიდენტი საწარმოს მიერ გამოშვებულ სხვადასხვა სახის ფასიან ქაღალდებს, რომლებიც არ უზრუნველყოფენ საწესდებო კაპიტალში მონაწილეობას.

ფინანსური წარმოებულები, რომელიც ადრე შედიოდა პორტფელის ინვესტიციებში, ფასიანი ქაღალდების ბაზრის ინტენსიურად განვითარების გამო ჩამოყალიბდა როგორც ფინანსური ანგარიშის დამოუკიდებელი

კომპონენტი. ფინანსური წარმოებულები მოიცავს ისეთ ფასიან ქაღალდებს, როგორცაა ოპციონები, ფიუჩერსები, სვოპები, ფორვარდული კონტრაქტები, და სხვა. საქართველოში უკვე რამდენიმე ბანკი იყენებს წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს. ინფორმაციის წყარო ფინანსური წარმოებულების შესახებ არის საწარმოთა გამოკვლევა, კომერციული ბანკების და ეროვნული ბანკის ანგარიშგება.

სხვა ინვესტიციები მოიცავს ფინანსური ანგარიშის ყველა მოკლე და გრძელვადიან გატარებას, გარდა პირდაპირი და პორტფელის ინვესტიციებისა, წარმოებულ ფინანსური ინსტრუმენტებისა და სარეზერვო აქტივებისა. ესენია: სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სესხები, ნაღდი ფული და დეპოზიტები და სხვა აქტივები და ვალდებულებები. სავაჭრო კრედიტები და ავანსები ეს არის აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც წარმოიშევა საგარეო სავაჭრო (საქონლით ან მომსახურებით) ურთიერთობების შედეგად. როგორც წესი, ასეთი აქტივები და ვალდებულებები მოკლევადიანია, თუმცა საგადასახდელო ბალანსი ითვალისწინებს მათ დაყოფას გრძელ და მოკლევადიანად. სხვა ინვესტიციების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია სესხები. საგადასახდელო ბალანსში მათი კლასიფიცირება ხდება ვადიანობის მიხედვით (გამოიყოფა გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები) და ინსტიტუციური სექტორების მიხედვით. სხვა ინვესტიციების სხვა ვალდებულებები და აქტივები შედგება ვადაგადაცილებული დავალიანებისაგან და, გარდა ამისა, ყველა იმ პოზიციისგან, რომელიც არ მოხვდა ზემოთ ჩამოთვლილ მუხლებში.

სარეზერვო აქტივები: წარმოადგენს მაღალლიკვიდურ უცხოურ აქტივებს, რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს საქართველოს ეროვნული ბანკი და რომლის გამოყენება საგადასახდელო ბალანსის დეფიციტის დასაფინანსებლად ან რაიმე სხვა მიზნით შესაძლებელია დაუყონებლივ. სარეზერვო აქტივები შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: მონეტარული ოქრო, სესხის სპეციალური უფლება, სავალუტო პოზიცია ფონდში, სხვა სარეზერვო აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებენ სარეზერვო აქტივების მოთხოვნებს და არ მოხვდნენ ზემოთ ჩამოთვლილ პუნქტებში. სხვა სარეზერვო აქტივები შედგება ნაღდი უცხოური ვალუტისაგან, არარეზიდენტ

საფინანსო ორგანიზაციებში განთავსებული დეპოზიტებისგან და მაღალლიკვიდური ფასიანი ქაღალდებისგან. ამასთან, სარეზერვო აქტივი უცხოურ ვალუტაში აუცილებლად უნდა იყოს თავისუფლად კონვერტირებადი. მონაცემთა წყაროა ეროვნული ბანკის საბალანსო ანგარიშები.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაანგარიშება საქართველოში ხორციელდება 1997 წლიდან [100] საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ) მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიის “საგადასახდელო ბალანსის სახელმძღვანელო”, ხოლო 2009 წლიდან “საგადასახდელო ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს” მიხედვით. გარდა აღნიშნული მეთოდოლოგიისა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზუსტი განსაზღვრის, პირდაპირი ინვესტირების საწარმოო კავშირების სწორად დადგენისათვის და ზუსტი გაანგარიშების წარმოებისათვის გამოიყენება ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის 2008 წლის დოკუმენტი “პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტანდარტული განსაზღვრება”, ასევე, სსფ-ის მიერ 2008 წლის დეკემბერში გამოცემული “კოორდინირებული პირდაპირი ინვესტიციების გამოკვლევის სახელმძღვანელო” [100].

პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საერთაშორისო საინვესტიციო საქმიანობის კატეგორიაა, რომელიც გულისხმობს ერთი ქვეყნის რეაიდენტის მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოში წილის ფლობას და ამ საწარმოსთან დაკავშირებულ სხვადასხვა ეკონომიკური ხასიათის ოპერაციების წარმოებას. პირდაპირი ინვესტიციები მოიცავს არა მხოლოდ კაპიტალის ჩადების საწყის ოპერაციას, არამედ ყოველ შემდგომ ოპერაციას პირდაპირ ინვესტორსა და პირდაპირი ინვესტირების საწარმოს შორის.

პირდაპირია ინვესტორი, რომელიც ფლობს საწარმოს აქციების არანაკლებ 10 პროცენტს, ან ასეთი მონაწილეობის ექვივალენტს. პირდაპირი ინვესტორის როლში შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, კორპორირებული ან არაკორპორირებული კერძო და სახელმწიფო ორგანიზაციები.

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის (საქსტატი) მიერ წარმოებული კვარტალური და წლიური პერიოდულობის სტატისტიკური გამოკვლევა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ. გარდა ამისა, ინფორმაცია მიიღება საქართველოს ეკონომიკური და მდგრადი განვითარების სამინისტროდან და ასევე აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროდან არარეზიდენტი სუბიექტების მიერ პრივატიზებული ობიექტების შესახებ. საქართველოს ეროვნული ბანკი აწარმოებს საქართველოს საფინანსო სფეროში, კერძოდ, კომერციულ ბანკებში, სადაზღვევო კომპანიებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შესახებ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებას და ყოველკვარტალურად საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის მიწოდებას.

ცხრილი №2.1.1 გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება 2007 წლიდან 2014 წლის ჩათვლით დინამიკაში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ინფორმაციის წყაროების მიხედვით. როგორც სტრუქტურა გვიჩვენებს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების შესახებ მთავარი საინფორმაციო წყაროა საქსტატის მიერ საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის კვარტალური და წლიური გამოკვლევიდან მიღებული ინფორმაცია.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 2014 წლის წინასწარი მონაცემებით (რომელიც ჩვენ გამოვიყენეთ I სამეცნიერო კოლოქვიუმში), საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი შეადგენდა 1272.5 მილიონ აშშ დოლარს, რაც 38.2%-ით ნაკლებია 2014 წლის ჩასწორებულ მონაცემებთან შედარებით. მათ შორის, საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევიდან მიღებული წინასწარი მონაცემები შეადგენდა 1131.1 მილიონ აშშ დოლარს, საერთო მაჩვენებლის 89%-ს. აღნიშნული მაჩვენებელი გასწორებული მონაცემებით შეადგენს 1650.2 მილიონ აშშ დოლარს, საერთო მაჩვენებლის 93.8%-ს, რაც ბოლო 8 წლიან დინამიკაში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. პრივატიზაციიდან მიღებული

საინვესტიციო ნაკადების შესახებ არსებული ინფორმაციის მაჩვენებელი წინასწარი მონაცემებით შეადგენდა 5.4 მილიონ აშშ დოლარს, საბოლოო მონაცემების მიხედვით აღნიშნული მაჩვენებელი არ შეცვლილა. რაც შეეხება ფინანსური სექტორიდან მიღებულ ინფორმაციას, წინასწარი მონაცემებით იყო 135.9 მილიონი აშშ დოლარი, საერთო მაჩვენებლის 10.7%, ხოლო ჩასწორებული მონაცემებით შეადგენს 102.8 მილიონ აშშ დოლარს, საერთო მაჩვენებლის 5.8%-ს. ამდენად, მოცემული მაჩვენებლების მიხედვით, ვფიქრობთ, ხარვეზებია საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური აღრიცხვის სისტემაში, რაც საჭიროებს გადახედვას.

ცხრილი №2.1.1

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში ინფორმაციის წყაროების მიხედვით

	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
	წ.	წ.	წ.	წ.	წ.	წ.	წ.	წ.
სულ (მლნ. აშშ დოლარი)	2,014.8	1,564.0	658.4	814.5	1,117.2	911.6	941.9	1,758.4
	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%	100.0%
<i>მათ შორის:</i>								
საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის გამოკვლევა								
პრიატიზაცია	76.0%	81.6%	77.7%	79.4%	76.4%	80.0%	73.8%	93.8%
პრიატიზაცია	17.2%	17.8%	14.8%	6.1%	5.5%	0.6%	0.3%	0.3%
საფინანსო სექტორი ³	6.8%	0.5%	7.5%	14.5%	18.1%	19.4%	25.9%	5.8%

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საქსტატის ინფორმაციით, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკური გამოკვლევა, რომლის ნაწილიც არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს (კონტროლირებად ტერიტორიებს) და

³ საფინანსო სექტორის მონაცემები 2009 წლიდან საბანკო სფეროს გარდა მოიცავს მიკროსაფინანსო და სადაზღვევო კომპანიებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემებსაც;

2000-მდე სამეწარმეო სუბიექტს. გამოსაკვლევ ობიექტთა შერჩევა ხორციელდება შემდეგი ზირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

- საწარმოს ჰყავს არარეზიდენტი დამფუძნებელი;
- ახორციელებს ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებს;
- არარეზიდენტებისგან აქვს აღებული სესხი ან გაცემული მათზე;
- დეპოზიტები განთავსებული აქვს არარეზიდენტ ბანკებში;
- ფლობს არარეზიდენტი საწარმოს საწესდებო ან სააქციო კაპიტალის 10 პროცენტს და მეტს;
- არარეზიდენტებს უწევს ან მათგან იღებს მომსახურებას.

საქსტატის მიერ ყოველკვარტალურად ხორციელდება შერჩეულ საწარმოთა განახლება მათი საქმიანობისა და დამფუძნებელთა კლასიფიკაციის მიხედვით.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ძირითადი კომპონენტებია: სააქციო კაპიტალი, რეინვესტიცია და სხვა კაპიტალი.

1997 წლიდან მონაცემები მუშავდება ინვესტორ ქვეყნების ჭრილში. 2007 წლიდან გამოკვლევის ინსტრუმენტარში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რის საფუძველზეც საქსტატს საშუალება მიეცა მონაცემები დაემუშაებინა ეკონომიკის სექტორების ჭრილში, რასაც საფუძვლად უდევს საწარმოთა ძირითადი საქმიანობის მიხედვით დაყოფა. მონაცემთა სხვადასხვა ინფორმაციული წყაროების საფუძველზე შესაძლებელი გახდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მონაცემთა გაანგარიშება ინფორმაციის წყაროების მიხედვით.

საქსტატის მიერ წინასწარი მონაცემების გამოქვეყნება ხორციელდება ყოველკვარტალურად, საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღეს. 4 კვარტლის შეჯამებით მიიღება წინასწარი წლიური მონაცემები, რომლის დაზუსტებაც წარმოებს წლიური გამოკვლევის მონაცემების საფუძველზე, მომდევნო წლის 15 აგვისტოს.

დაზუსტებული მონაცემები ყოველთვის განსხვავებულია წინასწარისაგან. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საწარმოები

საქსტატს წლიურ ანგარიშში წარუდგენენ უფრო დაზუსტებულ მოგება ზარალის მაჩვენებლებს.

წინასწარ და დაზუსტებულ მონაცემებს შორის სხვაობა კვარტალურ დინამიკაში ზოგიერთ შემთხვევაში 20%-ზე მეტსაც აღწევს, რადგან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არ არის ინვესტიცია განხორციელებული მხოლოდ ფიქსირებულ აქტივებში. იგი ფინანსური კატეგორიაა და მისი დადებითი და უარყოფითი მნიშვნელობაც საერთაშორისო მეთოდოლოგიურ ჩარჩოებში და სტანდარტებში თავსდება.

ზოგადად, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირების მიზეზები შეიძლება იყოს: არარეზიდენტის მიერ წილის დათმობა რეზიდენტისათვის, არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის რეკლასიფიკაცია პორტფელის ინვესტორად, რეზიდენტი საწარმოს მიერ არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორის მიმართ არსებული ვალდებულების შემცირება.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია (სსპ) ასახავს დროის გარკვეულ მომენტში საგარეო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ნაშთებს. სსპ აერთიანებს არარეზიდენტებისადმი მოთხოვნებსა და მათ მიმართ სხვადასხვა სახის ვალდებულებებს ეკონომიკის შემდეგი სექტორების მიხედვით: ეროვნული ბანკი, დეპოზიტური კორპორაციები ეროვნული ბანკის გარდა, სამთავრობო და სხვა სექტორები. სსპ-ის ძირითადი მუხლები საგადასახდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშის მუხლების იდენტურია და მოიცავს: პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფელის ინვესტიციებს, ფინანსურ წარმოებულებს, სხვა ინვესტიციებს (სხვა სააქციო კაპიტალი, ნაღდი ფული და დეპოზიტები, სესხები, სადაზღვევო, საპენსიო პროგრამები და სტანდარტული საგარანტიო სქემები სავაჭრო კრედიტები და ავანსები, სხვა მოთხოვნები/ვალ-დებულები) და სარეზერვო აქტივებს.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიცია პერიოდის ბოლოს იანგარიშება, როგორც ნაშთს პერიოდის დასაწყისში დამატებული პერიოდის განმავლობაში მომხდარი ოპერაციული ცვლილება, მოცულობის სხვა ცვლილება, გაცვლითი კურსისა და ფასის სხვა ცვლილება. ოპერაციული ცვლილება შეესაბამება საგადასახდელი ბალანსის ფინანსური ანგარიშის

ტრანზაქციებს. სხვაობა ეკონომიკის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შორის შეადგენს წმინდა საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციას. სსპ შეიძლება იყოს წმინდა კრედიტული (+) ან წმინდა დებეტური (-).

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის ინფორმაციის წყაროა: საქართველოს ეროვნული ბანკის და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების კვარტალური და თვიური ანგარიშგება უცხოური აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ; ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია სახელმწიფო გარანტიით აღებული საგარეო ვალისა და მისი მომსახურების შესახებ; სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ინფორმაცია საწარმოთა საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების შესახებ; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინფორმაცია ინვესტიციების შესახებ.

მეთოდოლოგია: საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის მეთოდოლოგია შესაბამისობაშია საერთაშორისო სავალუტო ფონდის: “საგადასახდელი ბალანსისა და საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სახელმძღვანელოს” მე-6 გამოცემასთან (“Balance of Payments and International Investment Position Manual. Sixth Edition (BPM6)”. International Monetary Fund. Washington, 2009).

გასათვალისწინებელია, რომ გამოქვეყნებული უცხოური აქტივები და ვალდებულებები შეიძლება განსხვავდებოდეს ოფიციალურ საერთაშორისო რეზერვებში მოცემულ ანალოგიური მონაცემებისაგან, სავალუტო კურსების დამრგვალების გამო.

საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციაში მოცემული საბანკო სექტორის წმინდა უცხოური აქტივები და უცხოური ვალდებულებები განსხვავდება აგრეთვე მონეტარული სტატისტიკის სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმოხილვაში მოცემული შესაბამისი მონაცემებისგან. განსხვავების მიზეზი არის ის, რომ მონეტარული სტატისტიკის მონაცემებში არ არის ასახული ვალდებულებები უცხოელი პირდაპირი და პორტფელის ინვესტორების მიმართ.

საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციისა და მთლიანი საგარეო ვალის სტატისტიკის საანგარიშო ერთეულია აშშ დოლარი.

საგარეო სექტორის სტატისტიკაზე მუშაობა ქვეყნის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდს უკავშირდება და თავდაპირველად (2007 წლამდე) ეს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის პრეროგატივე იყო. შესაბამისად, დასაწყისისათვის მისი ინფორმაციული წყაროები მწირი იყო და ძირითადად საგარეო ვაჭრობის მონაცემებით შემოიფარგლებოდა. პირველი საგადასახდელო ბალანსი 1994 წლის მონაცემების მიხედვით 1995 წელს შემუშავდა. დღეისათვის, ეროვნული ბანკის ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია საქართველოს საგადასახდელო ბალანსი 1995 წლიდან.

როგორც წესი, საგარეო სექტორის სტატისტიკა ეფუძნება საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის და საერთაშორისო რეზერვების სტატისტიკას. 2000 წლიდან ეროვნულ ბანკში გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის სტატისტიკის წარმოების დაწყების მიმართულებით.

საქართველოს ეროვნული ბანკი მონაცემთა გადასინჯვის პოლიტიკის შესაბამისად, ყოველი წლის 30 სექტემბერს აქვეყნებს გასული წლის საგარეო სექტორის სტატისტიკის განახლებულ წლიურ მონაცემებს. საგადასახდელო ბალანსის, საერთაშორისო საინვესტიციო პოზიციის და საგარეო ვალის მონაცემები როგორც წესი, განიცდის ცვლილებებს, გამომდინარე იქიდან, რომ ხდება წინასწარი კვარტალური მონაცემების დაზუსტება წლიური მონაცემებით.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშების ზოგადი მეთოდოლოგია

საქართველოს ეროვნული ანგარიშების მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროგაერთიანების სტატისტიკური კომისიის, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების

ორგანიზაციის, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდებული ეროვნულ ანგარიშთა 1993 წლის სისტემის (SNA-93) სტანდარტული მეთოდოლოგია. მსოფლიო ქვეყნების უმრავლესობა ეროვნული ანგარიშების წარმოებისას იყენებს 1993 წლის მეთოდოლოგიას, თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ 2009 წელს დასრულდა მუშაობა ეროვნული ანგარიშების სისტემის ახალ 2008 წლის ვერსიაზე და 2011 წლიდან მიმდინარეობს SNA 2008 მეთოდოლოგიაზე ეტაპობრივად გადასვლის სამუშაოების დაწყება. SNA 2008-ის მეთოდოლოგია ბევრ საკითხში იდენტურია SNA-93-ის პრინციპების და მხოლოდ რამოდენიმე საკითხში, განსაკუთრებით ფინანსური ანგარიშის ნაწილში, შეტანილია გარკვეული ცვლილებები. განსხვავება ძირითადად შეეხება გლობალიზაციის პროცესის გავლენის გათვალისწინებას მულტინაციონალური კორპორაციების მაჩვენებლებზე. ასევე ცვლილებები შევიდა კაპიტალის ანგარიშის შედგენის მეთოდოლოგიაში. ძირითად კაპიტალში ინვესტიციებად განიხილება კვლევებსა და დამუშავებებზე გაწეული ხარჯები, რაც SNA-93-ის მიხედვით განიხილებოდა როგორც მიმდინარე ხარჯები. ასევე ცალკე იქნა გამოყოფილი ინტელექტუალური საკუთრების ცნება და დაიხვეწა მისი გაანგარიშების მეთოდოლოგია.

ეროვნულ ანგარიშთა სისტემის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ეკონომიკურ მაჩვენებელს წარმოადგენს მთლიანი შიდა პროდუქტი, რომელიც ქვეყნის ტერიტორიის შიგნით წარმოებული საბოლოო საქონლისა და მომსახურების საბაზრო ფასებში გამოსატული მთლიანი ღირებულებაა. მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება მიმდინარე ფასებში ხორციელდება საერთაშორისოდ აღიარებული სამი სხვადასხვა მეთოდით:

(1) წარმოების მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტი, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ტერიტორიაზე დროის შესაბამის მონაკვეთში ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ (ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სახეებში) შექმნილი მთლიანი დამატებული ღირებულებების ჯამს დამატებული გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი) მინუს სუბსიდიები პროდუქტებზე. გაანგარიშების სქემა: საქმიანობის სახეობების მიხედვით პროდუქციის (საქონლისა და

მომსახურების) მთლიანი გამოშვება საბაზისო ფასებში - საქონლისა და მომსახურების გამოშვებისათვის გამოყენებული შუალედური მოხმარება = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზისო ფასებში + გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე - სუბსიდები პროდუქტებზე = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

(2) გამოყენების (დანახარჯების) მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება დანახარჯების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკის რეზიდენტი ერთეულების მიერ მიმდინარე პერიოდში გაწეული დანახარჯების გამოთვლას. გაანგარიშების სქემა: შინამეურნეობების სამომხმარებლო ხარჯები + შინამეურნეობების მომსახურე არაკომერციული ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება + სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ გაწეული კოლექტიური (სახელმწიფოს მართვა, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა) და პერსონალური (განათლებისა და ჯანდაცვის) მომსახურება + ძირითადი კაპიტალის მთლიანი ფორმირება + მატერიალური საბრუნავი საშუალებების მარაგების ცვლილება = მთლიანი შიდა ხარჯები საბაზრო ფასებში + საქონლისა და მომსახურების ექსპორტი - საქონლისა და მომსახურების იმპორტი = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

(3) შემოსავლების მეთოდი: მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება შემოსავლების მეთოდით ემყარება იმ ინსტიტუციური ერთეულების შემოსავლების ჯამს, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ საქონლისა და მომსახურების შექმნაში მოცემული პერიოდის განმავლობაში. გაანგარიშების სქემა: შემოსავალი დასაქმებიდან დარიცხული ხელფასისა და დანამატების სახით (ხელფასზე დარიცხული გადასახადების ჩათვლით) + თვითდასაქმებიდან მიღებული შერეული შემოსავალი + კომპანიების მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული მთლიანი მოგება + გადასახადები წარმოებასა და იმპორტზე - სუბსიდები წარმოებასა და პროდუქტებზე = მთლიანი შიდა პროდუქტი საბაზრო ფასებში.

სხვადასხვა მეთოდებით გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობები შეიძლება ერთმანეთს არ ემთხვეოდეს, რადგან მათი

ინფორმაციული წყაროები განსხვავებულია, განსხვავება აისახება სტრუქტურში “სტატისტიკური განსხვავება”.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშება წარმოების მეთოდით ეფუძნება ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორს (სეკ 001-2004), რომელიც შემუშავებულია ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორის ევროპული სტანდარტის NACE rev.1.1 ბაზაზე.

საერთაშორისო მეთოდოლოგიის რეკომენდაციების გათვალისწინებით ეკონომიკური ოპერაციები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით მათი განხორციელების მომენტისათვის არსებულ მიმდინარე საბაზრო ფასებში. ეროვნულ ანგარიშთა (SNA-93) სისტემით რეკომენდებულია მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდის ინდექსის კვარტალური პერიოდულობით გაანგარიშება. ამასთან, რეალური ზრდის მაჩვენებელი გაიანგარიშება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მიმართ მუდმივ ფასებში გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მონაცემების საფუძველზე.

მთლიანი შიდა პროდუქტის მუდმივ ფასებში გადაყვანა ჯერ-ჯერობით ხდება მხოლოდ წარმოების მეთოდით გაანგარიშებული მაჩვენებლების მიხედვით ორმაგი დეფლირების გზით, რაც ხორციელდება ფასების შესაბამისი ინდექსების მეშვეობით, საქმიანობის სახეების მიხედვით მთლიანი გამოშვებისა და შუალედური მოხმარების ცალ-ცალკე დეფლირებით და შემდეგ მათი სხვაობის გამოთვლით.

საერთაშორისო მეთოდოლოგია, მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას, ითვალისწინებს დაუკვირვებადი ეკონომიკის გაზომვას. დაუკვირვებადი ეკონომიკა იზომება საქმიანობის სახეების მიხედვით სტატისტიკური ინფორმაციის არსებულ სტანდარტულ წყაროებში სხვადასხვა მიზეზით მოუცველი საქმიანობის, პროდუქციის, შემოსავლების, მოხმარების ან სხვა ეკონომიკური ოპერაციების მოცულობით. მისი შეფასებისათვის გამოიყენება როგორც პირდაპირი კვლევის, ასევე არაპირდაპირი შეფასებები.

მთლიანი შიდა პროდუქტის გაანგარიშებისას გამოიყენება შემდეგი მონაცემთა წყაროები:

- ბიზნეს სტატისტიკის კვარტალური და წლიური გამოკვლევები. მონაცემთა ბაზები ყოველკვარტალურად მუშავდება ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით, რის საფუძველზეც იანგარიშება პროდუქციის მთლიანი გამოშვებები 45 სახის საქმიანობის მიხედვით დაუკვირვებადი ეკონომიკის გათვალისწინებით;

- შინამეურნეობების კვარტალური კვლევის მონაცემები. ყოველკვარტალურად მუშავდება დასაქმებულთა და შინამეურნეობების საბოლოო მოხმარების მონაცემთა ბაზები ეროვნულ ანგარიშთა სისტემისათვის საჭირო ფორმატით.

- ფასების სტატისტიკის მონაცემები მწარმოებელთა და სამომხმარებლო ფასების შესახებ დეფლირების განხორციელების მიზნით;

- სოფლის მეურნეობის სტატისტიკის სამმართველოს კვარტალური და წლიური გამოკვლევის მონაცემები სოფლის მეურნეობის სფეროში შექმნილი დამატებული ღირებულების გასაანგარიშებლად;

- ეროვნული ბანკის მონაცემები:

- კომერციული ბანკების ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება კომერციული ბანკების გამოშვება.

- ეროვნული ბანკის ყოველთვიური მონაცემები შემოსავლებისა და ხარჯების შესახებ, რის საფუძველზეც იანგარიშება ეროვნული ბანკის გამოშვება.

- აღნიშნულ წყაროებზე დაყრდნობით იანგარიშება ფინანსური შუამავლობის მომსახურების არაპირდაპირი შეფასების მაჩვენებელიც.

- ქვეყნის საგადასახდელი ბალანსის მონაცემები;

- სადაზღვევო კომპანიების ყოველკვარტალური მონაცემები, რის საფუძველზეც იანგარიშება სადაზღვევო კომპანიების გამოშვება. ეროვნული და კომერციული ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების გამოშვებების შეჯამებით მიიღება საფინანსო შუამავლობის სექტორის გამოშვება.

- ფინანსთა სამინისტროს ყოველთვიური მონაცემები (ნაერთი, სახელმწიფო და თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების შემოსულობების

(გადასახადის სახეების მიხედვით) და გადასახდელების (ფუნქციონალური და ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით)), რომელთა დამუშავებით მიიღება სახელმწიფო მმართველობის სექტორის მთლიანი გამოშვება; აგრეთვე გადასახადები პროდუქციაზე და იმპორტზე (დღგ, აქციზი და საბაჟო გადასახადი).

2.2 საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა და სტრუქტურა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა წლიურ და კვარტალურ ჭრილში


მეოცე საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევრიდან პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იქცა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ოფიციალური მონაცემებით, 1996 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელი ჯამში 13.3 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2014.8 მილიონი აშშ დოლარი (ჯამური მაჩვენებლის 15.2%) დაფიქსირდა 2007 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 3.8 მილიონი აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 0.03%) – 1996 წელს. წლიური პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1997 წელს გაიზარდა 242.6 მილიონ აშშ დოლარამდე (1.8%), ხოლო 1998 წელს – 265.3 მილიონ აშშ დოლარამდე (2.0%). უცხოური კაპიტალის ზრდა ძირითადად განაპირობა ბაქო-სუფსის ნავთობსადენსა და სუფსის ტერმინალზე განხორციელებულმა სამუშაოებმა. 1996-2002 წლებთან შედარებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალი ნაკადები

დაფიქსირდა 2003 წელს და 2004 წელს და შეადგინა, შესაბამისად, 340.1 (2.6%) და 499.1 (3.8%) მილიონი აშშ დოლარი. 2005 წლიდან საქართველოში განხორციელდა გარკვეული რეფორმები საგადასახადო, საბაჟო, ფინანსურ სფეროებში და საინვესტიციო ბაზარზე შემოსვლის ბარიერების მოხსნის მიმართულებით. გააქტიურდა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საწარმოების პრივატიზაციის პროცესი. შედეგად, ინვესტიციათა ყველაზე მაღალი ნაკადები საქართველოს ეკონომიკაში დაფიქსირდა 2007 წელს. 2008 წლის მეორე ნახევარში, აგვისტოს ომის მოვლენებმა და მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მასშტაბები მინიმუმამდე შეამცირა, შესაბამისად, 2009 წელს 658.4 მილიონი აშშ დოლარის (საერთო მაჩვენებლის 5.0%) პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დაფიქსირდა. 2009-2011 წლებში საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სტაბილური მაჩვენებლით (წელიწადში საშუალოდ 200-300 მილიონი აშშ დოლარი) იზრდებოდა. შემდგომ იყო კლება: წლიურმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2012 წელს 911.6 მილიონი აშშ დოლარი (6.9%) შეადგინა. კლებაზე მოქმედ მთავარ ფაქტორად 2012 წლის წინასაარჩევნო მოლოდინი და პოსტსაარჩევნო განუსაზღვრელობა სახელდება. 2013 წელს დაფიქსირდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელო მატება (941.9 მლნ. აშშ დოლარი – საერთო მაჩვენებლის 7.1%) რაც შეეხება 2014 წელს, დაფიქსირდა 2007 წლის შემდეგ ყველაზე მაღალი მოცულობა (1758.4 მლნ. აშშ დოლარი – 13.3%) (იხ. დიაგრამა №2.2.1).

დიაგრამა №2.2.1

საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, 1996-2014წწ.
(მლნ.აშშ დოლარი; %-სვედრითი წილი)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დიაგრამა №2.2.2 გვიჩვენებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სვედრით წილს მთლიან შიდა პროდუქტში. მოცემული მაჩვენებელი დიანამიკაში ისევე იცვლება, როგორც მთლიანი შიდა პროდუქტის აბსოლუტური მაჩვენებელი, რაც მიგვანიშნებს მთლიანი შიდა პროდუქტის დაბალვარიაციულობაზე და პირიქით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაღალვარიაციულობაზე.

დიაგრამა №2.2.2

პუი-ს სვედრითი წილი მშპ-ში (%)




წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ეკონომიკურ გაანგარიშებებში მეტად მნიშვნელოვანი მაჩვენებლებია ზრდისა და მატების ტემპები. ზრდის ტემპი გვიჩვენებს თუ რამდენჯერ იზრდება დინამიკური მწკრივის ესა თუ ის დონე წინა რომელიმე დონესთან შედარებით. მატების ტემპი ახასიათებს თუ რამდენი პროცენტით არის ერთი დონე მეტი ან ნაკლები მეორე დონეზე. ის მიიღება ზრდის ტემპიდან 1-ის ან 100-ის (თუ პროცენტებშია ზრდის ტემპი გაანგარიშებული) გამოკლებით, ან აბსოლუტური მატების შეფარდებით წინა შესაბამის დონესთან. იმის მიხედვით თუ რომელი დონეა აღებული შესადარებლად, გვაქვს საბაზისო და ჯაჭვური მატების ტემპი.

სადაც, \hat{y} და y , შესაბამისად, პროგნოზული და ფაქტიური მნიშვნელობებია. წილადის მრიცხველი, ეს არის პროგნოზის საშუალო კვადრატული შეცდომა, ხოლო მნიშვნელი – კვადრატული ფესვი ფაქტიური მაჩვენებლის საშუალო კვადრატიდან. თუ L -ის მნიშვნელობა დიდია, მაშინ პროგნოზის მნიშვნელობა არაზუსტია, ხოლო თუ მისი მნიშვნელობა ახლოსაა 0-თან, მაშინ პროგნოზი ზუსტია. იდეალურ შემთხვევაში კი, $L=0$, რაც იშვიათად ხდება. ასეთ შემთხვევაში ყველა პროგნოზული და ფაქტიური

მაჩვენებელი ერთმანეთს ემთხვევა, რაც მხოლოდ თეორიულად არის შესაძლებელი.

პროგნოზირებისას დიდი მნიშვნელობა აქვს თავად მეთოდის შერჩევას. აღსანიშნავია, რომ ხშირად მარტივი მეთოდების გამოყენება უკეთეს შედეგებს იძლევა, ვიდრე რთული მეთოდები. თუმცა პროგნოზირების სიზუსტის ხარისხი გაცილებით იზრდება თუ პროგნოზირების სხვადასხვა მეთოდის ერთდროულად გამოყენება ხდება.

ვერიფიკაცია გულისხმობს არა მხოლოდ პროგნოსის სიზუსტისა და საიმედოობის განსაზღვრას, არამედ პროგნოზის ხარისხის კომპლექსურ შეფასებასაც. დღეს სტატისტიკის პრაქტიკაში განასხვავებენ: პირდაპირ და ირიბ ვერიფიკაციას. პირდაპირი ვერიფიკაციის დროს უკვე არსებულ პროგნოზულ მაჩვენებლებთან ერთად გამოითვლება ახალი პროგნოზული მაჩვენებლები პროგნოზირების სხვა მეთოდების გამოყენებით, ამის შემდეგ, ხორციელდება მათი ურთიერთშედარება და შედარებით უფრო ზუსტი და მისაღები მაჩვენებლების დადგენა. ირიბი ვერიფიკაცია გულისხმობს მიღებული პროგნოზის შედარებას ანალოგიური ობიექტის უკვე არსებულ სხვა პროგნოზთან [11].

ჩვენს მიერ მიღებული პროგნოზების სიზუსტის შეფასებისათვის გამოვიყენეთ ვერიფიკაციის პირდაპირი მეთოდი, ფაქტიურ და მოსწორებულ მაჩვენებელთა შედარების საფუძველზე გამოვლინდა შედარებით ზუსტი მეთოდი – წრფივი ფუნქცია, ამიტომ ამ მეთოდით გამოთვლილი საპროგნოზო მაჩვენებლები შეიძლება ჩავთვალოთ შედარებით ზუსტად და მოსალოდნელი ტენდენციები – საიმედოდ. პროგნოზის სიზუსტის საილუსტრაციოდ მოვიტანეთ პროგნოზის სიზუსტის შეფასების გ. ტეილის განსხვავების (შეუსაბამობის) კოეფიციენტის მნიშვნელობები, რომელიც 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის, 2000-2014 წლების მიხედვით, აღმოჩნდა 0,43-ის ტოლი, ხოლო უმუშევრობის დონისათვის 0,11-ის ტოლი, რაც პროგნოზების სიზუსტის საიმედო დონეზე მიუთითებს. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენს მიერ გაანგარიშებული საპროგნოზო მაჩვენებლები საიმედოა.

ამდენად, საპროგნოზო პერიოდში, სამივე ცვლადის შემთხვევაში, ზრდა არის მოსალოდნელი. მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები 1 მცხოვრებზე ყველაზე მაღალია წრფივი ტრენდის რეგრესიის გამოყენებით გამოთვლილი დამოუკიდებელი ცვლადების შემთხვევაში. თავის მხრივ, 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი საპროგნოზო მაჩვენებლები, გამოყენებული მეთოდებიდან, მოსალოდნელია საშუალო აბსოლუტური მატების შემთხვევაში, ხოლო უმუშევრობის დონის შემთხვევაში, ყველაზე მაღალი მაჩვენებლებია მოსალოდნელი ასევე წრფივი ფუნქციის გამოყენებით, რაც, მოცემული მრავლობითი რეგრესიის შემთხვევაში, კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, იმ ფაქტს, რომ 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გააღწევა 1 მცხოვრებზე გაანგარიშებული მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებელზე დადებითია, თუმცა უმნიშვნელო.

თავი 3. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მაგალითზე)

3.1 კვლევის მეთოდოლოგია და გამოყენებული მონაცემების აღწერა

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში მიღებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის კავშირის დასადგენად, დარგების დონეზე, გამოვიყენეთ კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქცია სტაბილური გრძელვადიანი ელასტიურობით, პანელური მონაცემების გამოყენებით, STATA-ს პროგრამული უზრუნველყოფით.

კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის მოდელი იკვლევს კავშირს სამუშაო ძალას (L), კაპიტალსა (K), და ეკონომიკურ ზრდას (Y) შორის. ეკონომიკური ზრდა (Y) არის ფუნქცია სამუშაო ძალის (L) და კაპიტალის (K), და ეს არის ენდოგენური ზრდის მოდელი:

$$Y_{cit} = A_{cit} K_{cit}^a L_{cit}^{1-a} \quad (2)$$

სადაც Y_{cit} არის მთლიანი გამოშვება c ქვეყნის i -ური დარგში, t დროის განმავლობაში. შესაბამისად, A_{cit} აღნიშნავს ტექნოლოგიურ პროგრესს, K_{cit} – ფიზიკური კაპიტალის მარაგების აკუმულაციას და L_{cit} – სამუშაო ძალას კონკრეტული ქვეყნებში ინდუსტრიების და დროის მიხედვით.

კობი-დუგლასის საწარმოო ფუნქციის გალოგარიტმების შემდეგ მოდელი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$\log Y_{cit} = \log A_{cit} + a \log K_{cit} + (1 - a) \log L_{cit} \quad (3)$$

მოდელში ჩვენ გამოვიყენეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), რომელიც არის სრული ფაქტორული მწარმოებლურობის ფუნქცია კელერის და იპლის მიხედვით (2004წ.) (იხილეთ განტოლება №1) [41].

ჩვენს მოდელში, ასევე, გამოვიყენეთ კვლევის და განვითარების პარამეტრი (R&D), რაც ბაიუმის, კოეს და ჰელფმანის მიხედვით (1999წ.) არის სრული ფაქტორული მწარმოებლურობის ფუნქცია [42].

ამდენად, ჩვენს მოდელში ტექნოლოგიური პროგრესი განისაზღვრება შემდეგნაირად:

$$A_{cit} = f(FDI_{cit}, R \& D_{cit}, e_{it}, d_t) \quad (4)$$

სადაც FDI_{cit} - არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, $R\&D_{cit}$ – კვლევები და განვითარება, შესაბამისი ქვეყნის, ინდუსტრიის და დროის მითითებით. FDI და R&D არიან მთავარი ცვლადები. მოცემული ორი ცვლადი დადებით გავლენას უნდა ახდენდეს სრულ ფაქტორულ მწარმოებლურობაზე, რაც საბოლოოდ ზრდის მთლიან გამოშვებას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ზრდის კაპიტალის მარაგებს და ამასთან, დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე ტექნოლოგიური პროგრესის მეშვეობით. e_{it} არის დარგის სპეციფიური ცვლადი; d_t – ფიქტიური დროის მახასიათებელი, რომელიც ასახავს იმ მაკროეკონომიკურ შოკს, რომელიც მოქმედებს ყველა დარგზე დროის t მონაკვეთში.

გალოგარითმების შემდეგ, ჩვენი ტრანსფორმირებადი მოდელი ჩაიწერება შემდეგნაირად:

$$y_{cit} = \phi + \beta k_{cit} + c l_{cit} + g f d i_{cit} + d R \& D_{cit} + \eta d_t + e_{it} \quad (5)$$

$$e_{it} = a_i + \varepsilon_{it} \quad (6)$$

სადაც, a_i მიიცავს დარგის ჰეტეროგენურობას, მათ შორისაა: ავტონომიური მწარმოებლურობა, კონცენტრაციის დონე, საგარეო სავაჭრო ბარიერები, რომელთაც ადგილი აქვს იმ სექტორში, სადაც ხდება

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა. ϵ_{it} არის დამოუკიდებელი და იდენტური განაწილების (IID) ნარჩენობითი წევრი ჩვენს რეგრესულ მოდელში.

პანელური მონაცემების შემთხვევაში, რამდენადაც, ფართოდ არის გამოყენებული უმცირეს კვადრატთა მეთოდის (OLS), შემთხვევითი ეფექტის (RE), ფიქსირებული ეფექტის (FE) და პირველ სხვაობიანი შეფასების (FD) მეთოდები, ჩვენც გამოვიყენეთ, ფიქტიური დროის გათვალისწინებით, თუ მის გარეშე. როგორც ცნობილია, ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდი, მსგავსად პირველ სხვაობიანი შეფასების (FD) მეთოდისა, იყენებს ტრანსფორმაციას შეფასებად ამოშალოს შეუმჩნეველი ეფექტი. ამასთან, როგორც უკვე ვახსენეთ, ჩვენ გამოვიყენეთ ორივე მეთოდი (FE, FD) და იმის გასარჩევად, თუ რომელი მათგანი როდის გამოგვეყენებინა, წარმოვადგინეთ ჰაუსმანის ტესტის შედეგები.

ენდოგენურობის ძირითადი ეფექტი, რომელიც ხაზგასმით გვინდა აღვნიშნოთ, დამოკიდებულია დარგის სპეციფიურ ეფექტზე. თუკი ის არსებობს, ეს ნიშნავს, რომ უმცირეს კვადრატთა მეთოდის გამოყენება ჯერონად ვერ ასახავს გამოტოვებულ ცვლადებს და შემთხვევითი ეფექტის (RE) მეთოდის გამოყენება, რომელიც ემყარება $a_i \approx (0, \sigma^2/a)$, შეფასებული იქნება მისაღები განზოგადებული უმცირეს კვადრატთა მეთოდით (GLS). მაგრამ, თუ a_i არის ენდოგენური, ამ შემთხვევაში, ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდის გამოყენება იქნება უფრო შესაბამისი.

ამასთან, ჩვენ თუ გვინდა გამოვრიცხოთ დარგის სპეციფიური ეფექტი, შეგვიძლია გამოვიყენოთ პირველ სხვაობიანი შეფასების (FD) მეთოდი, რომლითაც გადავდივართ შემდეგ განტოლებაზე:

$$\Delta y_{i,t} = \sum_j \phi_{1j} \Delta fdi_{i,t-j} + \phi_2 \Delta l_{i,t-j} + \phi_3 \Delta k_{i,t-j} + \phi_4 \Delta r\&d_{i,t-j} + \Delta \phi_5 y_{i,t-j} \quad (7)$$

დამოკიდებული ცვლადი ზოგჯერ დამოკიდებულია არამარტო ეგზოგენურ ცვლადზე, არამედ მის ლაგ ცვლადზეც. ასეთი ტიპის მოდელი საშუალებას გვაძლევს გამოვიყენოთ პანელური მონაცემები დინამიკაში, მისი

ბუნებიდან გამომდინარე. ამ ტიპის რეგრესული მოდელი გამოკვეთილია ბალტაჯის (2001) მიერ. დინამიკაში პანელური მონაცემების შერჩევამ უნდა მოგვცეს უმცირესი სტანდარტული შეცდომა ჩვენს მიერ შესაფასებელ რეგრესიაში. ასევე მან უნდა გაზარდოს R-კვადრატი და მისცეს ჩვენს მოდელს სწორი სპეციფიკაცია. მაშასადამე, ჩვენ დავამატებთ ლაგ ცვლადებს წარმოების ზრდაზე, როგორც დამოუკიდებელ ცვლადზე, რადგან მიმდინარე მაჩვენებელი შეიძლება იყოს წინა პერიოდის მაჩვენებლის ფუნქცია. ამასთან, წარმოების ზრდის ჩვენს მიერ მოდიფიცირებული რეგრესიის მოდელი იქნება უცვლელი. შესაბამისად, დავამატებთ წარმოების ზრდის 5 ლაგური ცვლადი (Y), მაგრამ ბოლო მათგანი იყო უმნიშვნელო და ამოვიღეთ ყოველი ბოლო მესამემდე, ვიდრე ის არ გახდა მნიშვნელოვანი. იგივე გავაკეთეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (FDI) და კვლევებისა და განვითარების (R&D) ცვლადებისათვის, შესაბამისად, ხუთი ლაგური ცვლადიდან ვიღებდით ყოველ ბოლოს ვიდრე თითოეული მათგანის ლაგური ცვლადი არ გახდა მნიშვნელოვანი და ასეთი ორივე მათგანისთვის იყო მესამე ლაგური ცვლადი.

დროის ჩარჩო თამაშობს არსებით როლს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კვლევებისა და განვითარების მუშაობაში. ეს ნიშნავს, რომ ორივე მათგანისთვის შესაძლოა აღებულ იქნეს რამოდენიმე წელი, რომ სრული ფაქტორული მწარმოებლურობის გაზრდით გავლენა იქონიონ ეკონომიკურ ზრდაზე, ამდენად, დავამატებთ მათი (FDI, R&D) ლაგური ცვლადები ჩვენს რეგრესულ მოდელს. ამასთან, დროითი კორელაციის და ჰეტეროსკედასტურობის სიზუსტისთვის გამოვიყენეთ რობასტული შეფასება ჰეტეროსკედასტურობასა და ავტოკორელაციაში.

ქვეყნების დონეზე, ცხრილის სახით გამოვყავით წმინდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის კონკრეტულ ქვეყნებში. ამასთან, გასაანალიზებლად გამოვიყენეთ დიაგრამები, რათა გვეჩვენებინა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი, ცალკეული ქვეყნების მიხედვით.

გამოყენებული მონაცემების აღწერა

სადისერტაციო ნაშრომის მოცემულ თავში, დარგების დონეზე კვლევაში გამოყენებული მონაცემების ძირითადი ნაწილი აღებულია ევროსტატის მონაცემთა ბაზიდან [107]. ჩვენს მიერ გამოყენებული პანელური მონაცემები მოიცავს ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის (გარდა ხორვატიისა¹¹) 10 ინდუსტრიის ჯამურ მონაცემებს, 1995 წლიდან 2012 წლის ჩათვლით. ცხრილი №3.1.1 გვიჩვენებს იმ ქვეყნების და დარგების ჩამონათვალს, რომელთა სტატისტიკური მაჩვენებლებიც გამოვიყენეთ კვლევაში (იხ. დანართები, ცხრილი №3.1.2).

ცხრილი №3.1.1

ISO კოდი, ქვეყნების და დარგების ჩამონათვალი

ISO კოდი	ქვეყანა	დარგი
Bg	ბულგარეთი	1.სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა და მეთევზეობა
Cz	ჩეხეთი	2.საკვები პროდუქტების, სასმელების და თამბაქოს წარმოება
Ee	ესტონეთი	3.კოქსის და ნავთობპროდუქტების წარმოება
Hu	უნგრეთი	4.ქიმიური ნაწარმის წარმოება
Lv	ლატვია	5.რეზინისა და პლასტმასის წარმოება
Lt	ლიტვა	6.მეტალურგიული მრეწველობა და ლითონის მზა ნაკეთობები
Pl	პოლონეთი	7.მანქანებისა და მოწყობილობების წარმოება
Ro	რუმინეთი	8.სატრანსპორტო საშუალებების წარმოება
Sk	სლოვაკეთი	9.ელექტრობა, გაზი და წყლის მიწოდება
Sl	სლოვენია	10.მშენებლობა

ყოველი ცვლადი, რომელიც გამოყენებულია რეგრესულ მოდელში წარმოდგენილია რეალურ მაჩვენებლებში. დამოკიდებული ცვლადი (Y) არის მთლიანი დამატებული ღირებულება (GVA) დარგების მიხედვით.

¹¹ სტატისტიკური მონაცემების სიმწირის გამო;

დამოუკიდებელ ცვლადებად აღებულია: მთლიანი კაპიტალის აკუმულაცია (K), სამუშაო ძალა (L), პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (FDI), კვლევები და განვითარება (R&D). ამასთან, FDI, K და R&D წარმოდგენილია მილიონ ევროში, ხოლო სამუშაო ძალა (L) გამოსახულია პროცენტებში ნამუშევარი დროის მიხედვით.

დამოუკიდებელი ცვლადებიდან კაპიტალი, K, გვიჩვენებს ძირითადი კაპიტალის აკუმულაციას კონკრეტული ინდუსტრიების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, FDI, გვიჩვენებს რამდენი მილიონი ევროს ინვესტიცია განხორციელდა კონკრეტულ წელს კონკრეტულ დარგებში, კვლევების და განვითარების პარამეტრი, R&D, გამოსახავს კონკრეტულ დარგებში კვლევებსა და განვითარებაზე დახარჯული მილიონ ევროს ოდენობას.

ჩვენ ასევე გამოვიყენეთ ფიქტიური დროის გამომსახველი ცვლადი. მას შემდეგ, რაც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების უმრავლესობა გაწევრიანდა ევროკავშირში (2004 წლის მაისი), ეს შეიძლება განზოგადდეს, როგორც მწარმოებლურობაზე მოქმედი მაკრო შოკი. განსახილველი 10 ქვეყნისთვის გამოვიყენეთ ფიქტიური დროითი მახასიათებლები, რაც 2004 წლის მერე გაწევრიანებული ქვეყნებისთვის გამოვსახეთ 1-ით, ხოლო სხვა შემთხვევაში 0-ით. მაგალითად, ბულგარეთი და რუმინეთი ევროკავშირის წევრები გახდნენ 2007 წელს, შესაბამისად მათი მახასიათებლები 2007-ში გამოვსახეთ 1-ით, სხვა ქვეყნები – 0-ით.

ნაშრომში ქვეყნების დონეზე გამოყენებული მნიშვნელოვანი მონაცემები აღებულია მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზიდან [108]. კერძოდ, მაკრო დონეზე ჩვენ გამოვიყენეთ 1994-2012 წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყნის მაჩვენებლები (იხ. ცხრილი №3.2.1)

3.2 პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და ეკონომიკური ზრდა ქვეყნების მიხედვით

თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ამ ქვეყნებში ეკონომიკური ზრდის ერთ-ერთ მთავარ ინდიკატორად იქცა. როგორც ცხრილი №3.2.1 გვიჩვენებს, მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით 1994-2012 წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყანაში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 752.34 მილიარდი აშშ დოლარი შეადგინა, მათ შორის, ყველაზე მოცულობითი ნაკადები განხორციელდა უნგრეთში (საერთო მაჩვენებლის 27%), პოლონეთსა (26%) და ჩეხეთის რესპუბლიკაში (13%), რაც მიგვანიშნებს, რომ მოცემულ სამ ქვეყანას სხვა ქვეყნებთან შედარებით უფრო მეტად ახასიათებდა “ღია კარის” პოლიტიკა და უფრო ნაყოფიერი ბიზნეს გარემო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად.

დინამიკაში თუ დავაკვირდებით ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თითოეული ქვეყნის ტენდენციას, შევნიშნავთ ტრენდულ ხაზს 11-ვე ქვეყნისათვის, რაც გულისხმობს 2007-2008 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმსხვილეს ნაკადებს ცალკეულ ქვეყნებში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მოცულობითი ნაკადები დაკავშირებული იყო სახელმწიფო ქონების მასშტაბურ პრივატიზაციასთან.

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თერთმეტივე ქვეყანაში 2009 წელს დაფიქსირებული კლების მაჩვენებლები შეგვიძლია დავუკავშიროთ გლობალურ ფინანსურ კრიზისს (იხ. ცხრილი №3.2.1).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყანაში (მილიარდი აშშ დოლარი)


	უნგრეთი	პოლონეთი	ჩეხეთი	რუმინეთი	ბულგარეთი	სლოვაკეთი	ხორვატია	ესტონეთი	ლიტვა	ლატვია	სლოვენია
1994	1.14	1.88	0.88	0.34	0.11	0.27	0.11	0.21	0.03	0.21	0.12
1995	4.8	3.66	2.57	0.42	0.09	0.24	0.11	0.2	0.07	0.18	0.15
1996	3.29	4.5	1.44	0.26	0.11	0.35	0.49	0.15	0.15	0.38	0.17
1997	4.15	4.91	1.29	1.22	0.51	0.17	0.54	0.27	0.35	0.52	0.33
1998	3.34	6.37	3.7	2.03	0.54	0.56	0.94	0.58	0.93	0.36	0.22
1999	3.31	7.27	6.31	1.04	0.82	0.35	1.45	0.31	0.49	0.35	0.11
2000	2.77	9.34	4.99	1.04	1	2.05	1.11	0.39	0.38	0.41	0.14
2001	3.94	5.71	5.64	1.16	0.81	0	1.58	0.54	0.45	0.13	0.5
2002	3.01	4.13	8.5	1.14	0.91	4.1	1.1	0.28	0.71	0.25	1.66
2003	2.18	4.59	2.02	1.84	2.1	0.56	2.05	0.92	0.18	0.3	0.3
2004	4.28	12.72	4.98	6.44	2.66	3.04	1.08	0.97	0.77	0.64	0.83
2005	8.51	11.05	11.6	6.87	4.1	3	1.78	3.13	1.19	0.81	0.97
2006	18.68	21.52	5.52	11.45	7.87	4.07	3.22	2.21	2.05	1.7	0.69
2007	70.63	25.57	10.61	10.29	13.88	3.89	4.95	3.43	2.33	2.71	1.88
2008	74.99	15.03	6.57	13.85	10.3	4.08	5.81	1.87	1.91	1.43	1.82
2009	-2.97	14.39	2.87	4.93	3.9	1.61	3.4	1.87	0.02	-0.04	-0.35
2010	-20.93	17.07	6.12	3.2	1.87	2.12	0.85	2.05	0.86	0.43	0.63
2011	10.5	17.36	2.25	2.56	2.12	3.66	1.24	0.52	1.44	1.5	0.82
2012	9.78	6.7	7.98	2.63	1.58	1.53	1.34	1.65	0.57	1.08	-0.23
ჯამი	205.4	193.77	95.84	72.71	55.28	35.65	33.15	21.55	14.88	13.35	10.76
752.34											
%	27	26	13	10	7	5	4	3	2	2	1
ევროკავშირში											
ში											
გაერთიანებ	2004	2004	2004	2007	2007	2004	2013	2004	2004	2004	2004
ის წელი											

წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამებში №3.2.1-3.2.11 ცალკეული ქვეყნების მიხედვით არის გაანალიზებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის (მშპ) მაჩვენებელთა ურთიერთკავშირი 1994-2012 წლებში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყანაში. გაბნევის დიაგრამებში კავშირის გამომხატველი ტრენდის ხაზის მიმართულების მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებს შორის კავშირი უარყოფითია შემდეგ სამ ქვეყანაში: ხორვატია, ესტონეთი და უნგრეთი (იხ. დიაგრამები №3.2.1-3.2.3):

დიაგრამა №3.2.1


ხორვატია, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.2


ესტონეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.3

უნგრეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.




წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის შემდეგ რვა ქვეყანაში: ბულგარეთი, ჩეხეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი, სლოვაკეთი და სლოვენია, 95%-იანი ნდობის ინტერვალით გათვალისწინებული კავშირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებს შორის დადებითია (იხ. დიაგრამები №3.2.4-3.2.11)

დიაგრამა №3.2.4


ბულგარეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.5


ჩეხეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.6


ლატვია, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.7


ლიტვა, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.8


პოლონეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

დიაგრამა №3.2.9


რუმინეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები


დიაგრამა №3.2.10

სლოვაკეთი, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები

სლოვენია, კავშირი პუი-ს და მშპ-ს შორის, 1994-2012წწ.



წყარო: მსოფლიო ბანკის სტატისტიკური მონაცემები


ამდენად, განხილული ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყნის მაგალითზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქვეყნების დონეზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის ცალსახად დადებითი ურთიერთკავშირი არ გამოვლინდა. მიუხედავად იმისა, რომ რეგიონის 11 ქვეყნიდან უნგრეთი პირველი იყო მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობით, ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი შესაბამისად არ გაზრდილა განხილულ პერიოდში.

3.3 კვლევის შედეგები დარგების დონეზე

მიკრო (დარგების) დონეზე კვლევისთვის შერჩეული 10 ქვეყნის 10 დარგში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი დამატებითი ღირებულების ჯამური მაჩვენებლები დინამიკაში გამოსახულია დიაგრამაზე №3.3.1. როგორც დიაგრამა გვიჩვენებს, 1995 წლიდან 2008 წლამდე შერჩეული 10 ქვეყნის 10 დარგის ჯამური მონაცემების მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდასთან ერთად იზრდებოდა მთლიანი დამატებითი ღირებულება. მაჩვენებელთა ტენდენციის თანხვედრა შეინიშნება 2008-2011 წლებშიც, რასაც ვერ ვიტყვით 2012 წლის მაჩვენებლებზე.

დიაგრამა №3.3.1

მდლ და პუი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის 10 დარგის მიხედვით, 1995-2012წწ. (მილ. ევრო)



წყარო: ევროსტატი

შერჩეული 10 დარგის ჯამური მონაცემების მიხედვით ემპირიული კვლევის შედეგები შემდეგნაირია:

ცხრილი №3.3.1 გვიჩვენებს ხუთ ცვლადს, მათ შორის ერთი არის დამოკიდებული ცვლადი, ხოლო დანარჩენი ოთხი – დამოუკიდებელი. პირველ სვეტში (1) გამოყენებულია შეფასების უმცირეს კვადრატთა მეთოდი (OLS), როგორც ვხედავთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კვლევები და განვითარება დადებითად მოქმედებს წარმოების ზრდაზე. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე, ხოლო კვლევები და განვითარება 10%-იან დონეზე. შესაბამისად, სხვა თანაბარ პირობებში, თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გაიზრდება 100%-ით წარმოების ზრდა მოიმატებს 1.76%-ით; იმავედროულად თუ კვლევებსა და განვითარებას გავზრდით 100%-ით წარმოების ზრდა გაიზრდება 1.23%-ით. ამავე მეთოდით, სამუშაო ძალა და კაპიტალი უმნიშვნელოა, R-კვადრატი კი საკმარისად დაბალია.

მეორე სვეტში (2) (ცხრილი №3.3.1) გამოყენებულია შემთხვევითი ეფექტის (RE) მეთოდი, რის მიხედვითაც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და კვლევები და განვითარება დადებით და მნიშვნელოვან კორელაციაშია წარმოების ზრდასთან. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია 5%-ზე და თუ მას გავზრდით 100%-ით წარმოების ზრდა გაიზრდება დაახლოებით 1.82%-ით, ხოლო კვლევა და განვითარება მნიშვნელოვანია 10%-ზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი 100%-ით ზრდა წარმოების ზრდას გაზრდის 1.16%-ით. კაპიტალი და სამუშაო ძალა სტატისტიკურად უმნიშვნელოა, ხოლო R-კვადრატი – საკმარისად დაბალი.

მესამე სვეტში (3) (ცხრილი №3.3.1) გამოყენებულია ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდი, რომლის მიხედვით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე და დადებით კავშირშია წარმოების ზრდასთან. თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობას გავზრდით 100%-ით წარმოების ზრდა გაიზრდება დაახლოებით 3.12%-ით, სხვა ფაქტორების უცვლელობის შემთხვევაში. იმავედროს, კვლევა და განვითარება, კაპიტალი და სამუშაო ძალა სტატისტიკურად უმნიშვნელო მანქვენებლებით გამოიხატა, ხოლო R-კვადრატი საკმარისად დაბალია.

კვლევის შედეგები უმცირეს კვადრატთა (OLS), შემთხვევითი ეფექტის (RE) და ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდების გამოყენებით

	(1)	(2)	(3)
ცვლადები	OLS	RE	FE
პუი (FDI)	0.0176** (2.153)	0.0182** (2.177)	0.0312** (2.421)
კაპიტალი (K)	0.0102 (1.268)	0.0108 (1.257)	0.0280 (1.351)
კვლევა და განვითარება (R&D)	0.0123* (1.941)	0.0116* (1.806)	0.00612 (0.624)
სამუშაო ძალა (L)	-0.00558 (-0.470)	-0.00604 (-0.469)	-0.0976 (-1.053)
მუდმივი	-0.0823 (-1.617)	-0.0872 (-1.614)	-0.143 (-0.877)
დაკვირვების მონაცემები	123	123	123
R-კვადრატი	0.115	0.0509	0.082

t-statistics in parentheses

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

ცხრილში №3.3.2 ნაჩვენებია, რომ ყველა მეთოდის გამოყენებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საკმარის და დადებით კორელაციაშია ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებთან. მოცემულ ცხრილში დამატებულია წარმოების ზრდის ლაგური ცვლადები და წარმოდგენილია შეფასების განსხვავებული ინსტრუმენტები. პირველ სვეტში გამოყენებულია უმცირეს კვადრატთა მეთოდი, როგორც ვხედავთ წარმოების ზრდის ელასტიურობა

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობასთან კავშირში შეადგენს 1.84%-ს. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე, შესაბამისად, პოზიტიურად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე. ამასთან, სამუშაო ძალა სტატისტიკურად უმნიშვნელოა; კაპიტალი მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე, ხოლო კვლევა და განვითარება მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. აღსანიშნავია, რომ მოცემული მოდელის მიხედვით, წარმოების ზრდის მხოლოდ პირველი ლაგური ცვლადია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. მოცემულ მოდელში R-კვადრატი არის საკმარისად დაბალი.

მეორე სვეტში (2) (ცხრილში №3.3.2) შემთხვევითი ეფექტის (RE) გამოყენებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 100%-ით ზრდა გამოიწვევს წარმოების 2.24%-იან ზრდას. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კოეფიციენტი მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე. სამუშაო ძალის გავლენა უმნიშვნელოა, თუმცა კაპიტალის და კვლევის და განვითარების გავლენა მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე. მოცემულ მოდელში წარმოების ზრდის მხოლოდ პირველი ლაგური ცვლადია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი. F-ტესტის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მთლიან დამატებულ ღირებულებათა ლაგური ცვლადები ერთობლივად არიან სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

მესამე (3) და მეოთხე (4) სვეტებში (ცხრილში №3.3.2), შესაბამისად, წარმოდგენილია რეგრესია ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდით და ფიქტიური დროითი მახასიათებლებით (მაკროეკონომიკური შოკების გათვალისწინებით). შედეგების მიხედვით, სხვა თანაბარ პირობებში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 100%-ით ზრდა გამოიწვევს წარმოების ზრდას საშუალოდ 3.66% და 3.88%-ით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ორივე სვეტში მნიშვნელოვანია 1%-იან დონეზე. ამასთან, კვლევა და განვითარება და სამუშაო ძალა სტატისტიკურად უმნიშვნელოა. კაპიტალი მნიშვნელოვანია 5%-იან დონეზე. F-ტესტის მიხედვით, ფიქტიური დროის მახასიათებლები სტატისტიკურად უმნიშვნელოა და წარმოების ზრდის ლაგური ცვლადები სტატისტიკურად მნიშვნელოვანია.

ცხრილი №3.3.2

უმცირეს კვადრატთა (OLS), შემთხვევითი ეფექტის (RE) და ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდები ფიქტიური დროით და მის გარეშე

ცვლადები	(1) OLS	(2) RE	(3) FE	(4) FE (ფიქტიური დროის გათვალისწინებით)
მდღ (GVA _{t-1})	-0.159** (-2.021)	-0.246*** (-3.389)	-0.345*** (-4.830)	-0.346*** (-4.850)
მდღ (GVA _{t-2})	-0.0207 (-0.246)	-0.0819 (-1.048)	-0.148* (-1.911)	-0.146* (-1.891)
მდღ (GVA _{t-3})	-0.0183 (-0.197)	-0.107 (-1.243)	-0.232*** (-2.712)	-0.218** (-2.531)
პუი (FDI)	0.0184** (2.232)	0.0224*** (2.585)	0.0366*** (3.173)	0.0388*** (3.320)
კაპიტალი (K)	0.0141* (1.704)	0.0187* (1.928)	0.0457** (2.442)	0.0478** (2.547)
კვლევა და განვითარება (R&D)	0.0134** (2.121)	0.0111* (1.710)	0.00608 (0.701)	0.00319 (0.353)
სამუშაო ძალა (L)	-0.00421 (-0.356)	-0.00382 (-0.255)	-0.0547 (-0.664)	-0.0688 (-0.828)
მუდმივი	-0.101* (-1.940)	-0.127** (-2.093)	-0.268* (-1.834)	-0.249* (-1.695)
F-ტესტი (მდღ-ს ლაგური ცვლადებისთვის)	1.40	13.25	9.75	9.56
შესაძლ. > F	0.2465	0.0041	0.0000	0.0000
დაკვირვების მონაცემები	123	123	123	123
R-კვადრატი	0.146	0.2755	0.307	0.317

(Hausman test=52.30; Prob>chi2= 0.0000)

(F-test(time dummies)= 1.30; Prob > F = 0.2571)

t-statistics in parentheses

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

შესაძლებელია შეფასების ფიქსირებული ეფექტის მიხედვით a_i იყოს ენდოგენურად დაკავშირებული წარმოების ზრდის სხვა დეტერმინანტებთან და OLS და RE მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია აღნიშნული სწორად ვერ განვსაზღვროთ. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ ჰაუსმანის სპეციფიკაციის ტესტი (Hausman specification test), რომელიც მოგვცემს შესაძლებლობას განვსაზღვროთ რომელი მიდგომა იქნება უფრო შესაბამისი, (RE) თუ (FE). შესაბამისად, როგორც ჰაუსმანის ტესტი გვკარნახობს, ამ შემთხვევაში, მიზანშეწონილია შეფასების შემთხვევითი ეფექტის (FE) მეთოდის გამოყენება, რამდენადაც ადგილი აქვს კორელაციას დამოუკიდებელ ცვლადებსა და ინდუსტრიების არაერთგვაროვნებას შორის. ასევე, ადგილი შეიძლება ჰქონდეს მიმდევრობით კორელაციას და ჰეტეროსკედასტურობას,

რობასტულობის და წარსულში ეკონომიკურ ზრდაზე გავლენის შემოწმების მიზნით, ცხრილში №3.3.3, დავამატეთ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და კვლევა და განვითარების ლაგური ცვლადები. როგორც ცხრილი გვიჩვენებს, პირველ (1), მეორე (2) და მესამე (3) სვეტებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებით და მნიშვნელოვან კორელაციაშია წარმოების ზრდასთან. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირველი ლაგური ცვლადი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია და უარყოფით კავშირშია წარმოების ზრდასთან. მეოთხე (4) სვეტში (FE) მეთოდის გამოყენება ფიქტიური დროის მახასიათებლების მიხედვით გვიჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითი და მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე და სხვა თანაბარ პირობებში გავლენას ახდენს მთლიანი დამატებითი ღირებულების 2.92%-იან ზრდაზე. დროითი ჩარჩო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლაგური ცვლადის შემთხვევაში არ არის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი.

პირველ (1) და მეორე (2) სვეტებში (ცხრილი №3.3.3) ნაჩვენებია პარამეტრების მიხედვით, სამუშაო ძალა და კვლევა და განვითარება სტატისტიკურად უმნიშვნელოა. კაპიტალის მახვენებელი სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე და დადებითად მოქმედებს მთლიანი დამატებული ღირებულების მოცულობაზე, ამასთან, მისი კოეფიციენტები ორივე მეთოდის (OLS, RE) გამოყენებით ერთნაირია.

მესამე (3) და მეოთხე (4) სვეტებში (ცხრილი №3.3.3) კვლევა და განვითარება, სამუშაო ძალა და კაპიტალი სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი ცვლადებია. ამავე სვეტებში, მთლიანი დამატებული ღირებულების პირველი ლაგური ცვლადი 10%-იან დონეზე მნიშვნელოვანია, თუმცა, უარყოფითი გავლენის მატარებელი.

ცხრილი №3.3.3

უმცირეს კვადრატთა (OLS), შემთხვევითი ეფექტის (RE) და ფიქსირებული ეფექტის (FE) მეთოდები ფიქტიური დროით და მის გარეშე

	(1)	(2)	(3)	(4)
ცვლადები	OLS	RE	FE	FE (ფიქტიური დროის გათვალისწინებით)
მდღ (GVA _{t-1})	0.0788 (0.839)	0.0788 (0.839)	-0.255* (-1.974)	-0.243* (-1.862)
პუი (FDI)	0.0269** (2.199)	0.0269** (2.199)	0.0269* (1.800)	0.0292* (1.907)
პუი (FDI _{t-1})	-0.0217* (-1.829)	-0.0217* (-1.829)	-0.0272* (-1.737)	-0.0241 (-1.483)
კვლევა და განვითარება (R&D)	-0.00349 (-0.231)	-0.00349 (-0.231)	-0.00129 (-0.0828)	-0.00260 (-0.166)
ვლევა და განვითარება(R&D _{t-1})	0.0162 (1.105)	0.0162 (1.105)	0.0153 (0.929)	0.0143 (0.860)
კაპიტალი(K)	0.0167* (1.854)	0.0167* (1.854)	0.0320 (1.253)	0.0344 (1.331)

სამუშაო ძალა (L)	-0.0154	-0.0154	-0.125	-0.135
	(-1.193)	(-1.193)	(-0.910)	(-0.977)
მუდმივი	-0.0779	-0.0779	-0.0144	-0.0137
	(-1.358)	(-1.358)	(-0.0637)	(-0.0604)
დაკვირვების მონაცემები	79	79	79	79
R-კვადრატი	0.215	0.256	0.207	0.215

t-statistics in parentheses

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

შეფასების პირველი რიგის სხვაობის (FD) მეთოდის გამოყენების შემდეგ, რეგრესული მოდელი შესაძლოა შესწორებულ იქნას ჰეტეროსკედასტრობასა და მიმდევრობითი კორელაციის მიმართ.

ცხრილი №3.3.4 გვიჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აბსოლუტური მატება (ΔFDI) სტატისტიკურად მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე და მისი 100%-ით ზრდა დადებით გავლენას ახდენს წარმოების 2.19%-იან ზრდაზე. თუმცა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირველი ლაგური ცვლადი სტატისტიკურად უმნიშვნელოა. როგორც F-ტესტი აჩვენებს, ერთობლიობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი ლაგური ცვლადი სტატისტიკურად უმნიშვნელოა. უნდა განისაზღვროს, რომ როგორც მიმდინარე პერიოდის, ასევე გასული წლების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადების გავლენა წარმოების ზრდაზე დადებითია, თუმცა სტატისტიკურად არამნიშვნელოვანი. კვლევები და განვითარება, თავისი ლაგური ცვლადით, სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია. ასევე, სტატისტიკურად არამნიშვნელოვანია სამუშაო ძალა და კაპიტალი.

ცხრილი №3.3.4

პირველ სხვაობიანი შეფასების (FD) მეთოდი, რობასტული t -სტატისტიკა

	(1)
ცვლადები	მდლ-ს მატება

Δ მდღ (Δ GVA _{t-1})	0.150 (1.113)
Δ პუი (Δ FDI)	0.0219* (1.744)
Δ პუი (Δ FDI _{t-1})	0.00230 (0.156)
Δ კაპიტალი (Δ K)	0.0338 (1.395)
Δ კვლევა და განვითარება (Δ R&D)	-0.00665 (-0.542)
Δ კვლევა და განვითარება (Δ R&D _{t-1})	0.00128 (0.120)
Δ სამუშაო ძალა (Δ L)	0.120 (1.008)
მუდმივი	0.0475** (2.404)
დაკვირვების მონაცემები	50
R-კვადრატი	0.202

Robust t-statistics in parentheses

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

$F(\Delta$ FDI, Δ FDI_{t-1})=1.75; Prob > F = 0.1866

$F(\Delta$ R&D, Δ R&D_{t-1})=0.16; Prob > F = 0.8535

ავტოკორელაციის და ჰეტეროსკადესტურობის შემოწმების მიზნით ცხრილში №3.3.5, გამოყენებულია ჰეტეროსკადესტურობის და მიმდევრობითი კორელაციის რობასტული შეფასება. მოცემულ ცხრილში R-კვადრატი არის 0.278, რაც გვაძლევს გონივრულ მოტივს იმ დასკვნისათვის, რომელსაც ვაკეთებთ მოცემულ რეგრესულ ანალიზზე დაყრდნობით მიღებულ შედეგებზე. ამდენად, ჩვენი კვლევის შედეგები დამაჯერებელია დასკვნის გასაკეთებლად.

ჩვენს მოდელში ლოგარითმულ ფორმაში გამოყენებული კოეფიციენტები შესაძლოა აიხსნას, როგორც პირდაპირი ელასტიურობა დამოკიდებული ცვლადისათვის.

ცხრილში №3.3.5 გამოყენებული მეთოდის მიხედვით, მიმდინარე პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვანია 10%-იან დონეზე, რაც ნიშნავს, რომ თუ მას გავზრდით 100%-ით, წარმოების ზრდა საშუალოდ მოიმატებს 3.07%-ით, სხვა თანაბარ პირობებში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების პირველი რიგის ლაგური ცვლადი მნიშვნელოვანია, რამდენადაც პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს სჭირდება გარკვეული დრო, რათა გავლენა იქონიოს ეკონომიკურ ზრდაზე, თუმცა, ამ შემთხვევაში ის სტატისტიკურად უმნიშვნელოა და უარყოფით კორელაციაშია წარმოების ზრდასთან. იმავე დროს F-ტესტი აჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები და მისი პირველი რიგის ლაგური ცვლადი ერთობლიობაში სტატისტიკურად უმნიშვნელოა. ამავე ცხრილში, კვლევა და განვითარება სტატისტიკურად უმნიშვნელოა, ამასთან მისი მიმდინარე მაჩვენებლები არის უარყოფითი გავლენის მქონე, ხოლო, მისი პირველი რიგის ლაგური ცვლადი – დადებითი. F-ტესტის გამოყენებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ორივე მათგანი ერთობლიობაში სტატისტიკურად უმნიშვნელოა. მოცემული ცხრილის მიხედვით, მთლიანი დამატებული ღირებულების პირველი და მეორე რიგის ლაგური ცვლადები მნიშვნელოვანია, თუმცა, მესამე რიგის ლაგური ცვლადი უმნიშვნელოა. ერთობლიობაში, მთლიანი დამატებული ღირებულების სამივე ლაგური ცვლადი სტატისტიკურად უმნიშვნელოა და უარყოფით კორელაციაშია წარმოების ზრდასთან. ჩვენს რეგრესულ მოდელში, სამუშაო ძალა და კაპიტალი სტატისტიკურად ასევე უმნიშვნელოა.

ცხრილი №3.3.5

ფიქსირებული ეფექტის მეთოდი (FE), რობასტული ჰეტეროსკედასტურობა და ავტოკორელაცია

	(1)
ცვლადები	მდლ-ს ზრდა

მდღ (GVA _{t-1})	-0.324** (-2.334)
მდღ (GVA _{t-2})	-0.165* (-1.958)
მდღ (GVA _{t-3})	-0.186 (-1.184)
პუი (FDI)	0.0307* (1.870)
პუი (FDI _{t-1})	-0.0232 (-1.638)
კაპიტალი (K)	0.0266 (0.668)
კვლევა და განვითარება (R&D)	-0.00532 (-0.325)
კვლევა და განვითარება (R&D _{t-1})	0.0190 (1.256)
სამუშაო ძალა (L)	-0.141 (-0.960)
მუდმივი	0.0333 (0.114)
დაკვირვების მონაცემები	79
R-კვადრატი	0.278

Robust t-statistics in parentheses

*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

F (GVA_{t-1}, GVA_{t-2}, GVA_{t-3}) = 2.04; Prob > F = 0.1426

F (FDI, FDI_{t-1}) = 2.43; Prob > F = 0.1151

F (R&D, R&D_{t-1}) = 1.15; Prob > F = 0.3374

ქვემოთ მოცემული კორელაციის მატრიცა ასახავს ჩვენს მიერ რეგრესიის მოდელში გამოყენებულ ცვლადებს შორის ურთიერთკავშირს. როგორც ვხედავთ, არცერთ დამოუკიდებელ ცვლადს შორის არ შეინიშნება 70%-ზე მეტი კორელაცია, რაც თავისთავად მოდელის მაღალ საიმედოობაზე მეტყველებს.

მატრიცის მიხედვით, შერჩეული დარგების დონეზე პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მთლიან დამატებულ ღირებულებას შორის 34%-იანი კორელაცია დაფიქსირდა.

ცხრილი №3.3.6

კორელაციის მატრიცა

	FDI	K	R&D	L	GVA	GVA1	GVA2	GVA3	FDI1	FDI2	FDI3	R&D1	R&D2	R&D3
FDI	1													
K	0,43	1												
R&D	0,37	0,17	1											
L	0,13	-0,39	0,06	1										
GVA	0,34	0,26	0,10	-0,01	1									
GVA1	0,34	0,53	0,08	-0,01	0,06	1								
GVA2	0,14	0,36	-0,05	-0,07	0,07	0,40	1							
GVA3	-0,04	0,17	-0,05	-0,18	0,11	0,31	0,13	1						
FDI1	0,62	0,39	0,22	0,13	-0,02	0,36	0,38	-0,07	1					
FDI2	0,54	0,19	0,29	0,04	0,09	0,23	0,28	-0,06	0,75	1				
FDI3	0,55	0,22	0,25	-0,15	0,15	0,19	0,13	0,02	0,68	0,81	1			
R&D1	0,44	0,04	0,77	0,26	0,07	0,08	-0,04	-0,04	0,30	0,30	0,31	1		
R&D2	0,46	-0,02	0,64	0,21	0,07	0,06	0,15	0,02	0,28	0,29	0,24	0,82	1	
R&D3	0,33	-0,10	0,51	0,19	0,10	0,09	0,17	0,17	0,39	0,43	0,37	0,72	0,83	1

სადაც, FDI არის პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, K – კაპიტალი, GVA – მთლიანი დამატებული ღირებულება; L – სამუშაო ძალა; R&D – კვლევა და განვითარება; FDI₁, FDI₂, FDI₃ – პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ლაგური ცვლადები; R&D₁, R&D₂, R&D₃ – კვლევა და განვითარების ლაგური ცვლადები; GVA₁, GVA₂, GVA₃ – მთლიანი დამატებული ღირებულების ლაგური ცვლადები.

ამდენად, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 10 ქვეყნის შერჩეული 10 დარგის მონაცემებზე დაყრდნობით კვლევამ აჩვენა, რომ კავშირი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და წარმოების ზრდის მაჩვენებლებს შორის საკმარისად დადებითია, დავასკვნათ, რომ მოზიდული უცხოური ინვესტიციები ზრდის იმ დარგის მწარმოებლურობას სადაც ის ხორციელდება. ამასთან, დრო თამაშობს მნიშვნელოვან როლს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ეფექტიანობაში. ასევე, მნიშვნელოვანია კვლევასა და განვითარებაზე გაწეული ხარჯები ამათუიშ დარგში, რაც დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე თუმცა, მას სჭირდება გარკვეული დრო ზემოქმედებისათვის.

დასკვნები და წინადადებები

საქართველოს და ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის 11 ქვეყნის მაგალითზე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებზე მათი გავლენის სტატისტიკური შესწავლის შედეგად ჩამოვყალიბეთ შემდეგი სახის დასკვნები და წინადადებები:

- საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მნიშვნელოვან როლს ასრულებს მიმდები ქვეყნის მდგრად ეკონომიკურ განვითარებაში, კერძოდ, სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემთხვევაში ზრდის კონკურენტუნარიანობას, ხელს უწყობს დასაქმებას და ამცირებს სოციალურ უთანასწორობას, თუმცა, საერთაშორისო თუ ადგილობრივი, თეორიული თუ ემპირიული ლიტერატურის მიმოხილვა ცხადყოფს, რომ პირდაპირ უცხოური ინვესტიციებსა და ეკონომიკურ ზრდას შორის ურთიერთკავშირი არაერთგვაროვანია;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციები დადებითად მოქმედებს ეკონომიკურ ზრდაზე მხოლოდ შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ვერ იქნება მატერიალიზებული თუ მიმდებ ქვეყანას არ ექნება ისეთი ფუნდამენტური და ადეკვატური წინაპირობები, როგორცაა: მოწესრიგებული კერძო და საჯარო ინფრასტრუქტურა, სათანადო გარემო ადამიანური კაპიტალის და სამართლებრივი ჩარჩოს თვალსაზრისით;
- საქართველოში უცხოური ინვესტიციების ხელშეწყობის მიზნით მოქმედი არაერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტის მიუხედავად, ვფიქრობთ, ინვესტიციების ხელშეწყობის პირობების გაფართოებისა და მათი დაცვის გაძლიერების ღონისძიებების დამუშავებისას, საქართველოს კანონმდებლობა კიდევ უნდა დაუახლოვდეს საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებს;
- აუცილებელია შემუშავდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია;

- ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს როგორც მთლიანად საქართველოს, ისე მისი რეგიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დღევანდელი დონე და ის ორიენტირები, რომელსაც უნდა მიაღწიოს ქვეყანამ, რათა შეუერთდეს მაღალგანვითარებული ქვეყნების რიცხვს;
- დასახული მიზნებისა და პრიორიტეტების სწორად შეფასებისათვის და შემდგომ ანალიზისათვის, ვფიქრობთ, აუცილებელია სტატისტიკური ინფორმაციის სრულყოფა და მისი დაახლოება საერთაშორისო სტანდარტებთან. უნდა მოხდეს ინვესტიციების მკაცრი აღრიცხვა, რაც, პირველ რიგში, ნაკადების მოძრაობის რეგისტრაციიდან იწყება. ეს განსაკუთრებით აუცილებელია ინვესტიციების ეფექტიანობის, მათი მიზანმიმართული გამოყენების შეფასებისათვის;
- ინვესტორს უნდა გააჩნდეს, ერთი მხრივ, კეთილი ნება, რის საფუძველსაც ინსტიტუციისადმი ნდობის ფაქტორი ქმნის და, მეორეს მხრივ, ვალდებულება – დაემორჩილოს ქვეყანაში სტატისტიკური აღრიცხვისა და ანალიზის მიღებულ მეთოდოლოგიას, რათა შეიქმნას ერთიანი და საიმედო აღრიცხვის სისტემა. ასევე, ინვესტორი უნდა ახდენდეს ინვესტიციების შედეგად მიღებული ეფექტის რაოდენობრივი და შეფარდებითი მაჩვენებლების გაანგარიშებას და სტატისტიკის შესაბამის ორგანოებში დეკლარირებას;
- სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემამ უნდა უზრუნველყოს ეკონომიკური მოვლენებისა და პროცესების რაოდენობრივი დახასიათება ინფორმაციის სიზუსტის, სრულყოფილობის, შესადარისობის, მოვლენის არსებითი ნიშნების გამოყოფის, კომპლექსურობის, ობიექტურობის, სისტემურობის დაცვის პირობებში;
- შევისწავლეთ რა, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ინდუსტრიების დონეზე, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ასევე მთლიანი შიდა პროდუქტის და მთლიანი დამატებული ღირებულების მიხედვით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტატისტიკური მონაცემების შესადარისობის პრინციპი გარკვეულ წილად დარღვეულია. ვგულისხმობთ შემდეგს: ეროვნული

ანგარიშებიდან მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლები მოცემულია ეკონომიკური საქმიანობის სახეობების ევროპული NACE კლასიფიკატორის მიხედვით (რითიც ხელმძღვანელობს ევროსტატი), თუმცა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვა, ემყარება რა საწარმოთა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის შესახებ სტატისტიკურ გამოკვლევას, ხდება სექტორულ ჭრილში. უფრო კონკრეტული მაგალითისთვის: პირდაპირი უცხოური ინვესტიციების აღრიცხვის შემთხვევაში ამათუიმ სექტორში განხორციელებული სამშენებლო სამუშაოები ფიქსირდება შესაბამის სექტორში, ხოლო ეროვნული ანგარიშების მიხედვით – მშენებლობაში;

- ჩვენი რეკომენდაციაა, მოხდეს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ამსახველი სტატისტიკური მაჩვენებლების შესაბამისობაში მოყვანა ეკონომიკური საქმიანობის სახეობის კლასიფიკატორის ევროპულ სტანდარტთან, რაც სტატისტიკურ მაჩვენებელთა შესადარისობის პრინციპს უზრუნველყოფს;
- პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დადებითი ეფექტის ისეთი მაჩვენებელი, როგორც არის კვლევა და განვითარება (R&D), საქართველოში არ აღირიცხება. ვფიქრობთ, თანამედროვე ინდუსტრიალიზაციის პირობებში უნდა მოხდეს მსგავსი ინდიკატორების დანერგვა;
- საქართველოში განხორციელებული ინვესტიციების სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ 1996 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებელმა ჯამში 13262.5 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მათ შორის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი – 2014.8 მილიონი აშშ დოლარი (ჯამური მაჩვენებლის 15.2%) დაფიქსირდა 2007 წელს, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი – 3.8 მილიონი აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 0.03%) – 1996 წელს;
- უნდა აღინიშნოს, რომ ოფიციალური სტატისტიკის წინასწარი მონაცემები და დაზუსტებული მონაცემები მნიშვნელოვნად

განსხვავდება ერთმანეთისაგან. კერძოდ, 2014 წელს წინასწარი მონაცემებით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობა შეადგენდა 1272.5 მლნ. აშშ დოლარს, ხოლო დაზუსტებული მონაცემების მიხედვით – 1758.4 მლნ. აშშ დოლარს. შესაბამისად, გვაქვს 485.9 მილიონიანი ზრდა წლიურ მონაცემებში, რაც მისასაღმებელია, თუმცა, გარკვეულწილად მიუთითებს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდოლოგიის გადახედვის საჭიროებაზე;

- საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვარტალურ ჭრილში 1996 წლიდან ყველაზე მაღალი იყო 2014 წლის III კვარტალში და შეადგენდა 726 მლნ. აშშ დოლარს (საერთო მაჩვენებლის 5.5%, წლიური მაჩვენებლის 41%), თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2010 წლის I კვარტლის შემდეგ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი დაფიქსირდა 2014 წლის II კვარტალში;
- 2005-2014 წლებში, კვარტალური მონაცემების მიხედვით გაანგარიშებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ვარიაციის კოეფიციენტები გვიჩვენებს, რომ ერთობლიობა ერთგვაროვანი იყო (ნაკლებია 30%-ზე) ხშირ შემთხვევაში (2007, 2009, 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში), ხოლო არაერთგვაროვანი იყო 2005, 2006, 2008 და 2014 წლებში, მათ შორის არაერთგვაროვნების მაჩვენებელი ყველაზე მაღალი იყო 2008 წელს;
- მთლიანი შიდა პროდუქტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლები ტრენდული ხაზიდან დადებითად იყო დაშორებული 2006-2008 წლებში, ხოლო ტრენდიდან უარყოფითი გადახრა დაფიქსირდა 2008-2011 წლებში. აღნიშნულის მიზეზობრივ ფაქტორებად შეგვიძლია დავასახელოთ სახელმწიფო საკუთრების მასშტაბური პრივატიზაცია (ზრდის შემთხვევაში) და მსოფლიო ფინანსური კრიზისი (კლების შემთხვევაში);
- საქართველოში უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნები, 1996-2014 წლებში, იყვნენ: ამერიკის შეერთებული შტატები (\$1408.5 მლნ.), ნიდერლანდები

(\$1370.2 მლნ.), გაერთიანებული სამეფო (\$1269.6 მლნ.), აზერბაიჯანი (\$1042.9 მლნ.), თურქეთი (\$999.1 მლნ.), არაბეთის გაერთიანებული ემირატები (\$688.3 მლნ.), ვირჯინიის კუნძულები (\$605.4 მლნ.), რუსეთი (\$555.1 მლნ.), ჩეხეთი (\$499.7 მლნ.), ჩინეთი (\$388.2 მლნ.), გერმანია (\$383.8 მლნ.), ლუქსემბურგი (\$370.7 მლნ.), დანია (\$326.8 მლნ.), ყაზახეთი (\$293.1 მლნ.), კვიპროსი (\$285.8 მლნ.);

- საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაცია რეგიონულ ჭრილში შესაძლებელია 2009 წლიდან, შესაბამისად, 2009-2014 წლებში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საერთო მოცულობა ცალკეული რეგიონების მიხედვით ასე ნაწილდება: თბილისში განხორციელდა 4418.99 მილიონი აშშ დოლარის ინვესტიცია (საერთო მაჩვენებლის 71.3%); აჭარის რეგიონის მიერ მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები შეადგენდა 509.8 მილიონი აშშ დოლარს (საერთო მაჩვენებლის 8.2%); სამეგრელო-ზემო სვანეთის და გურიის რეგიონი – 397.9 მილიონი აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 6.4%); ქვემო ქართლის რეგიონი – 374.5 მილიონი აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 6.0%); იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონი – 249.5 მილიონ აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 4.0%); სამცხე-ჯავახეთის რეგიონი – 172.5 მილიონ აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 2.8%); შიდა ქართლსა და მცხეთა მთიანეთის რეგიონი – 43.7 მილიონი აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 0.7%); კახეთის რეგიონი – 35.2 მილიონ აშშ დოლარი (საერთო მაჩვენებლის 0.6%);
- 2009 წლიდან 2014 წლის ჩათვლით საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 71.3% მოდიოდა თბილისზე რაც ცხადყოფს რეგიონების დონეზე ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებით არსებული ეკონომიკური პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობას;
- საქართველოში, რეგიონების დონეზე მოზიდული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიან დამატებული ღირებულების (მდღ) მაჩვენებლებს შორის კორელაციური ანალიზის მიხედვით ყველაზე

მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისში (81%), შემდეგ – სამცხე-ჯავახეთში (74%). დადებით, თუმცა არც ძლიერ და არც სუსტ კავშირზე მეტყველებს კახეთის (56%), შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის (45%) და აჭარის (38%) რეგიონების მაჩვენებლებზე მიღებული კორელაციის კოეფიციენტები. სამეგრელო-ზემო სვანეთისა და გურიის რეგიონში ადგილი ჰქონდა ასევე დადებით, თუმცა სუსტ კორელაციას (14%). პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი დამატებული ღირებულების მაჩვენებლებს შორის საკმარისად მაღალი უკუ კავშირი დაფიქსირდა იმერეთის, რაჭა ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონში (-50%), ხოლო ქვემო ქართლში გამოვლინდა უკუ და მნიშვნელოვნად სუსტი კავშირი (-19%);

- საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლასიფიკაცია ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2007 წლიდან არის შესაძლებელი, შესაბამისად, 2007 წლიდან 2014 წლის ჩათვლით, საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სექტორულ ჭრილში ასე გადანაწილდა: 20% ეკავა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს; 15% – ენერგეტიკის სექტორს; დამამუშავებელი მრეწველობის სექტორს 14% შეესაბამებოდა; 11% მოდიოდა უძრავი ქონების სექტორზე; 10% იყო საფინანსო სექტორის წილი; 8% – მშენებლობის; 6% – სასტუმროების და რესტორნების; 3% სამთომპოვებითი მრეწველობის სექტორს ეკავა, ხოლო 1% შეესაბამებოდა სოფლის მეურნეობის და თევზჭერის სექტორს;
- 2007 წლის პირველი კვარტლიდან 2014 წლის მეოთხე კვარტლის ჩათვლით, მთლიანი შიდა პროდუქტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მაჩვენებლებს შორის კორელაციური ანალიზი ცალსახად მეტყველებს სუსტ კავშირზე საქართველოს ეკონომიკის მეტად მნიშვნელოვან დარგებში: მიუხედავად იმისა, რომ 2007-2014 წლებში ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალი ნაკადებით ხასიათდებოდა, ამასთან, ერთ-ერთი იყო მაღალი მთლიანი შიდა პროდუქტის

მაჩვენებლით, კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, რომ კავშირი საკმაოდ სუსტი და უარყოფითი იყო (-5%); დამამუშავებელი მრეწველობის სექტორი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და მთლიანი შიდა პროდუქტის მაჩვენებლებს შორის ასევე მნიშვნელოვნად სუსტი და არაპირდაპირი კორელაციით (-21%) ხასიათდებოდა; უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ეკონომიკური საქმიანობა განხილული ორი ცვლადის მიხედვით ხასიათდებოდა სუსტი და ამასთან უარყოფითი კორელაციით (-2%). სოფლის მეურნეობის და მშენებლობის სექტორებში პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებსა და მთლიან შიდა პროდუქტს შორის ურთიერთკავშირი ხასიათდებოდა დადებითი და საშუალოსთან მიახლოებული კორელაციით (შესაბამისად, 31% და 28%);

- სექტორულ ჭრილში კორელაციურმა ანალიზმა აჩვენე, რომ საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდა ხშირ შემთხვევაში ეკონომიკურ ზრდასთან კავშირში არ არის, თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ დარგების დონეზე სტატისტიკურ მაჩვენებელთა შესადარისობის კუთხით არსებობდა შეუსაბამობები;
- სექტორულ დონეზე, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების და ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლებს შორის მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთდამოკიდებულების გამოვლენის მიზნით ჩვენს მიერ შერჩეულმა რეგრესულმა მოდელმა მთლიანი შიდა პროდუქტის, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების, ექსპორტის, იმპორტის, საბოლოო მოხმარებაზე გაწეული ხარჯების მიხედვით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე მაღალმაჩვენებლიანი 5 სექტორიდან მხოლოდ ორში – მშენებლობისა და უძრავი ქონების სექტორებში, აჩვენა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გამომსახველი პარამეტრის საიმედოების დონე, მაშინ, როდესაც მოდელის საიმედოობა დადასტურდა ხუთივე სექტორის შემთხვევაში;
- რეგრესული მოდელის მიხედვით, მშენებლობის სექტორში 1 მილიონი აშშ დოლარის უცხოური პირდაპირი ინვესტიცია, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოიწვევს აღნიშნულ სექტორში მთლიანი

შიდა პროდუქტის გაზრდას 0.48 მილიონი ლარით; უძრავი ქონების (ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევის) სექტორში 1 მილიონი აშშ დოლარის პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, სხვა ფაქტორების უცვლელობის პირობებში, გამოიწვევს აღნიშნულ სექტორში მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას 1.54 მილიონი ლარით;

